# აჭარა

გამოცემის 102-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№119 (24.999) სამშაბათი, 1 - 2 ნოემბერი, 2022 წ. 50 თეთრი


**გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით**



დღეს მოსალოდნელია დროგამოშვებით წვიმა, მაღალ მთაში - თოვა, დასავლეთის მიმართულების ქარი – 12-17 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და შიდამთიან რაიონებში - 13-18, მთაში - 5-10 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 19 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 765 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

## კრიალოსა N იუსი

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი სამუშაო ვიზიტით არაბთა გაერთიანებულ საამიროებში ჩავიდა. აბუდაბის საერთაშორისო აეროპორტში დახვედრის ცერემონია გაიმართა. სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, მთავრობის მეთაური ორმხრივ, მაღალი დონის შეხვედრებს გამართავს. არაბთა გაერთიანებულ საამიროებში პრემიერ-მინისტრი დელეგაციასთან ერთად იმყოფება.

* * *

„საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონში განხორციელებულ ცვლილებებთან დაკავშირებით, საკონსტიტუციო სასამართლოში პარლამენტის 42 ოპოზიციონერი დეპუტატის საკონსტიტუციო სარჩელი შედის, რომლებიც იმ ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობასა და გაუქმებას ითხოვენ, რომელიც მოსამართლის თანხმობის გარეშე მივლინების საფუძვლებს ადგენს. საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა სარჩელზე პარლამენტის წევრთა ხელმოწერების ნამდვილობა დაადასტურა. შესაბამისად, ოპოზიციონერებს საკონსტიტუციო სარჩელის შეტანის უფლება მიეცათ.

* * *

პარლამენტი „დეოლიგარქიზაციის შესახებ“ კანონპროექტის განხილვას იწყებს. მმართველი გუნდის მიერ ინიცირებულ კანონის პროექტზე გუშინ იურიდიულ საკითხთა კომიტეტში იმსჯელეს. „დეოლიგარქიზაციის შესახებ“ პროექტი შემუშავებულია ანალოგიური შინაარსის მქონე უკრაინის კანონის მაგალითზე და არსობრივად უკრაინის კანონის ნორმებს იმეორებს.

* * *

„ლელო“ პარლამენტისგან მათ მიერ ინიცირებული ანტიკორუფციული საკანონმდებლო პაკეტის განხილვის დაწყებას კიდევ ერთხელ ითხოვს. საკითხი დეპუტატმა ბიუროს სხდომაზე მას შემდეგ დასვა, რაც ბიურომ ანტიკორუფციული ბიუროს შექმნის თაობაზე უმრავლესობის საკანონმდებლო ინიციატივის დაჩქარებული წესით განხილვის გადაწყვეტილება მიიღო. უმრავლესობაში აცხადებენ, რომ ინიციატივა კონსტიტუციის ჩარჩოსა და ლოგიკას ეწინააღმდეგება და მისი მიღება არც 12-პუნქტიანი გეგმის ფარგლებში შედის.

* * *

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე დავით ნარმანიამ დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის სხდომაზე სემეკის საქმიანობის 2021 წლის ანგარიში წარადგინა. მან დეპუტატებს ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორების განვითარების ტენდენციები გააცნო.

მოამზადა
ია შველიძე

# რა საკითხებზე იმსჯელეს ბათუმის საკრებულოს სხდომაზე?

***ქალაქ ბათუმის საკრებულომ გუშინ გამართულ მორიგ სხდომაზე დაამტკიცა ცვლილებები მიმდინარე წლის ბიუჯეტში, რომლის მიხედვითაც მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის გადასახდელები 1,500.0 ათასი ლარით გაიზარდა.*** ინფორმაცია აღნიშნულის თაობაზე ბათუმის საკრებულომ გაავრცელა. როგორც მასში აღნიშნულია, მიღებული ცვლილებით ხორციელდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2022 წლისათვის მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების და გასაწევი გადასახდელების ნუსხის დამტკიცება საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად, კერძოდ, ცვლილება შევიდა ბიუჯეტის შემოსულობებსა და ნაშთის ცვლილებაში, ასევე, გადასახდელებში ცალკეული პროგრამების/ქვეპროგრამების მიხედვით.



გავრცელებული ცნობით, ცვლილებები შევიდა „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების და პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს 2018 წლის 16 მარტის №28 დადგენილებაში. ცვლილების მიხედვით, გაიზარდა თანამდებობრივი სარგო საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ კანონით განსაზღვრული თანამდებობისთვის დადგენილი მე-9 სახელფასო კატეგორიის კოეფიციენტის შესაბამისად.

„საკრებულომ დაამტკიცა ცვლილებები მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივ სარგოებსა და საშტატო ნუსხაში, ასევე - მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესში. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, დადგენილებით გათვალისწინებულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოებისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ოდენობის ზრდა“, - აღნიშნულია ინფორმაციაში. საკრებულოს ცნობითვე, დამტკიცდა მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია, კერძოდ: განკარგულების მიხედვით, იგეგმება რუსთაველის ქ. №21-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე ბარაკული ტიპის ამორტიზირებული საცხოვრებელი ფართების სანაცვლოდ მრავალსართულიანი შენობის მშენებლობა, მცხოვრებთა სოციალური პირობების გაუმჯობესება და ქალაქის ცენტრალურ ნაწილში - ზღვისპირა პარკის მიმდებარედ არაესთეტიკური, უსახური ობიექტების თანამედროვე არქიტექტურული ღირებულების მქონე შენობით ჩანაცვლება.

საკრებულომ გუშინვე დაამტკიცა ფრიდონ ხალვაშის ქ. N88-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობის მიზნით წარმოდგენილ გეგმარებით ერთეულზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია. პროექტის მიხედვით, ინიციატორის მიერ, დასახელებული მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობის მიზნით, მოთხოვნილია დადგენილი კ2 მაჩვენებლის გადამეტება, რაც წარმოადგენს საერთო ქალაქგეგმარებითი ხასიათის ცვლილებებს.

სხდომაზე დამტკიცდა ველოგადაადგილების გენერალური გეგმა, რომელიც რეგიონული პროგრამის „მდგრადი ურბანული მობილურობა სამხრეთ კავკასიაში“ (Mobility4Cities) ფარგლებში შემუშავდა. პროგრამა დაფინანსებულია გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს მიერ და ახორციელებს გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება.

„ბათუმის ველოგადაადგილების გენერალური გეგმა ითვალისწინებს ინტეგრირებული მიდგომების დანერგვას ბათუმის ველომეგობრულ ქალაქად ჩამოყალიბების მიმართულებით, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს მდგრადი ურბანული მობილობის გეგმის (SUMP) განხორციელებას“, - აღნიშნულია საკრებულოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

გუშინვე საკრებულომ თანხმობა მისცა ქალაქ ბათუმის მერს „მუნიციპალიტეტის გარდაქმნის პორტფელის“ ფარგლებში გრანტის მიღებასა და ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე. კერძოდ, საუბარია ევროკავშირის და გაეროს განვითარების პროგრამის ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ფარგლებში გამოცხადებულ „მუნიციპალიტეტის გარდაქმნის პორტფელის“ კონკურსში 200 000 (ორასი ათასი) ევრომდე მოპოვებული გრანტის მიღებასა და შესაბამისი ხელშეკრულებების გაფორმებაზე.

ცვლილებები შევიდა „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) მგზავრთა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას სამგზავრო ტარიფების, ფასდაკლების სისტემის და მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ პირობებში. ასევე, ცვლილებები შევიდა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ავტობუსების სამარშრუტო ხაზების სქემებშიც. დამტკიცდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციის წესი, რომელიც დეტალურად მოიცავს უსახლკარო პირად/ოჯახად რეგისტრაციის კრიტერიუმებს, პროცედურებსა და პირობებს.

საკრებულომ თნხმობა მისცა ქალაქ ბათუმის მერს გაეროს ბავშვთა ფონდისგან გრანტის მიღებაზე საქართველოს მთავრობისთვის შუამდგომლობის წარდგენასა და საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებით. საკრებულო განმარტავს, რომ აღნიშნული ღონისძიება ხორციელდება ბათუმის მერიისა და გაეროს ბავშვთა ფონდის UNICEF-ის მჭიდრო თანამშრომლობის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის მიერ ბავშვთა უფლებების დაცვასა და ბავშვის უფლებათა კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით.

„მითითებული თანამშრომლობის ფარგლებში ბათუმის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ადგილობრივი მოწყვლადი და უკრაინელი ბავშვების დასახმარებლად იგეგმება გრანტის სახით, კერძოდ, 3696 ბავშვისთვის ჯამში 868 560,0 ლარის გადაცემა, თითოეულ ბავშვზე 235,0 ლარის ოდენობით. ამ დახმარების გაცემას UNICEF-ი გეგმავს მიმდინარე წლის ბოლომდე, ვინაიდან მისი მიზანია ზამთრის მოახლოვებასთან დაკავშირებული სირთულეების, სეზონზე ოჯახების გაზრდილი საჭიროებების დაკმაყოფილება“, - აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

31 ოქტომბრის სხდომაზე საკრებულომ თანხმობა მისცა ქალაქ ბათუმის მერს ბათუმში, ინასარიძის ქ. N1 და N3 საცხოვრებელ სახლებს შორის არსებული 38,0 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით გასცეს სარგებლობაში. აღნიშნული მიწის ნაკვეთის სარგებლობის ვადის განმავლობაში სარგებლობის უფლების მქონე პირის მიერ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში სარგებლობის საფასურის სახით ყოველწლიურად განხორციელდება 3370,0 ლარის შეტანა. გარდა ამისა, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაეცა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება (საცხოვრებელი ფართები, ბინები). როგორც საკრებულოში განმარტავენ, „აღნიშნული ეფუძნებოდა „სახელმწიფოს/აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის/ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული და ფიზიკური პირების მიერ საცხოვრებელ სადგომად გამოყენებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების შემსწავლელი შერეული სამთავრობო კომისიის“ რეკომენდაციას, რომელიც ითვალისწინებდა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 13 ერთეული უძრავი ქონების (საცხოვრებელი ბინების/ფართების) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრებაში გადაცემას, შემდგომში იქ მცხოვრებ ფიზიკურ პირებზე საკუთრებაში გადასაცემის მიზნით“.

მოამზადა
ია შველიძე

## ბათუმის სტადიონმა უძრავი ქონების ოსკარი მოიპოვა

2

## აჭარის სკაუტებმა «ჩვენებურებს» უმასპინძლეს

4

დარეკეთ «აჭარის» რედაქციაში - ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია თქვენი მოსაზრება! - 27-48-93

# ბათუმის სტადიონმა უძრავი ქონების ოსკარი მოიპოვა

*ბათუმის სტადიონმა - აჭარაბეთ არენამ საუკეთესო საჯარო შენობების კატეგორიაში გაიმარჯვა. ინფორმაცია ამის შესახებ აჭარის მთავრობამ გაავრცელა*

„პირველ ეროვნულ დაჯილდოებაზე FIABCI-Georgia Prix d'Excellence Awards 2022 ბათუმის საფეხბურთო სტადიონმა საუკეთესო საჯარო შენობების ნომინაციაში გაიმარჯვა. გამარჯვებულების გამოვლენა საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების შესაბამისად ჟიურის მიერ განხორციელდა.

ამ გამარჯვებით სტადიონი წარდგენილი იქნება მსოფლიო დაჯილდოებაზე FIABCI World Prix d'Excellence Awards, რომელიც 2023 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში გაიმართება" - დაწერა აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ სოციალურ ქსელში.

ბათუმის საფეხბურთო სტადიონმა და სტადიონის მშენებელმა კომპანია „ანაგმა" უძრავი ქონების პროექტების პირველ ეროვნულ დაჯილდოებაზე - FIABCI-Georgia Prix d'Excellence Awards 2022 - ოსკარი მოიპოვა, - აღნიშნულია ინფორმაციაში.



ია შელიძე

# ნინო ცხვარაძემ „ქართული ოცნება" დატოვა და „ხალხის ძალას" შეუერთდა

**ფიქრია დავლაძე 579 25 25 72**

31 ოქტომბერს გამართულ ბათუმის საკრებულოს სხდომაზე დეპუტატმა ნინო ცხვარაძემ განაცხადა, რომ „ქართულ ოცნებას" ტოვებს და მოძრაობა „ხალხის ძალას" უერთდება. მან მოგვიანებით მედიასთან კომენტარიც გააკეთა.

- დღეს მივიღე გადაწყვეტილება, დავტოვო „ქართული ოცნება", შესაბამისად, ვტოვებ ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის პოსტს. აქედან გამომდინარე, მზად ვარ უფრო ღიად და თამამად ვისაუბრო იმ პრობლემებსა და გამოწვევებზე, რომლებიც დღესდღეობით ქვეყანაში და კონკრეტულად, ჩვენს რეგიონშია,- განაცხადა დეპუტატმა.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით „ქართულ ოცნებაში" ამბობენ, რომ ეს გადაწყვეტილება ინსპირირებულია თბილისში მომხდარი მსგავსი ფაქტებით, როდესაც ფრაქცია დატოვეს „ქართული ოცნების" წარმომადგენლებმა.

- რახან ქალბატონმა ნინომ მიიღო ეს გადაწყვეტილება, არა მგონია, ისეთ ძირითად მუნიციპალურ საკითხებში, როგორიც არის კონკრეტული პროექტების განხორციელება, საბიუჯეტო საკითხები, მას განსაკუთრებული და განსხვავებული



პოზიცია ჰქონდეს. არც ნინო ცხვარაძეს და არცერთი ჩვენი პარტიის წევრს ჩვენ არ ვუკონტროლებდით, რას იტყოდნენ. რაც ქალბატონმა ნინომ დააფიქსირა, ეს ის პოზიცია იყო, რომელიც თავის დროზე დააფიქსირეს იმ ადამიანებმა, რომლებმაც პარლამენტში დატოვეს ეს ფრაქცია, ანუ როდესაც კონკრეტული ჯგუფი გადის პარტიიდან და შემდეგ ეს ჯგუფი ქმნის საზოგადოებრივ ორგანიზაციას კონკრეტული მიზნებითა და მოსაზრებებით, არიან ადამიანები, რომლებიც ამ იდეას იზიარებენ, ტოვებენ ერთ პარტიას და გადადიან სხვა ორგანიზაციაში. ჩვეულებრივი ამბავია. ასე მოიქცა ქალბატონი ნინოც, - განაცხადა, „ქართული ოცნების" წევრმა თენგიზ აფხაზავამ.

# პროექტებთან დაკავშირებით წამყვანი კომიტეტები და ვადები განისაზღვრა

**ნანა აბულაძე 577 20 35 90**

აჭარის საკანონმდებლო ორგანოში ბიუროს სხდომა გაიმართა, სადაც დეპუტატებმა დღის წესრიგით გათვალისწინებული ორი საკითხი განიხილეს. აღსანიშნავია, რომ უმაღლეს საბჭოში „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილების შესახებ" კანონის პროექტის განხილვა იწყება, რაზეც წამყვანი კომიტეტი და განხილვის ვადა განისაზღვრა.



- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი საბიუჯეტო პროცესებისა და უფლებამოსილების შესახებ 2010 წელს არის მიღებული და აღნიშნულ კანონში მრავალი ცვლილებაა შესული, აღსანიშნავია ისიც, რომ არ არსებობს კონსოლიდირებული ვერსია. კანონპროექტის ინიციატივა ისაა, რომ ახალი კანონი თანხვედრაში იქნება ყველა ნორმატიულ აქტთან, - განაცხადა დეპუტატმა მარინე გვიანიძემ.

წამყვან კომიტეტს განესაზღვრა ახალი ვადა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ" პროექტთან დაკავშირებით.

- უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში აისახება ახალი ინსტიტუტი, ეს იქნება საპარლამენტო კონტროლის განხორციელების ინსტიტუტი თემატური მოკვლევის შესახებ. აღნიშნულის თანახმად, თითოეულ კომიტეტს უკვე ექნება უფლებამოსილება, სხვადასხვა საკითხზე ჩაატაროს მოკვლევა და შემდეგ იმსჯელოს მთავრობასთან ან სხვა შესაბამის სტრუქტურებთან. აქამდე აღნიშნული საკითხი რეგლამენტში ასახული არ იყო და უახლოეს პერიოდში აისახება, - განაცხადა საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ლადო მგალობლიშვილმა.

დეპუტატებმა წამყვანი კომიტეტები და განხილვის ვადები განუსაზღვრეს საკანონმდებლო ორგანოში შესულ კიდევ ორ პეტიციას: „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული მუსლიმური საკულტო ნაგებობების კანონით დადგენილი წესით აღრიცხვის, შესწავლის და სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების შესახებ" (პეტიციის ავტორი - ნესტან ანანიძე) და „ადაპტური ტექნოლოგიების მხარდამჭერი პროგრამა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის" (პეტიციის ავტორი - მაია ქათამაძე), რომელსაც შესაბამისი დარგობრივი კომიტეტები განიხილავენ.

# თენგიზ აფხაზავა: ის, რაც რეზო ხარაზმა განაცხადა, არის სიცრუე

**ფიქრია დავლაძე 579 25 25 72**

ბათუმის საკრებულოს სხდომაზე განსახილველ საკითხებს შორის იყო საჯარო მოხელეებისთვის ხელფასების გაზრდის საკითხი, რამაც ოპოზიციის პროტესტი გამოიწვია. საკრებულოს წევრმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან" რევაზ ხარაზმა საკითხის დღის წესრიგიდან ამოღება მოითხოვა, რაც არ დაკმაყოფილდა. საბოლოოდ, დეპუტატმა დარბაზი დატოვა. სხდომის დასაწყისში გაკეთდა პოლიტიკური განცხადებები, აქტიურობდნენ ოპოზიციის წევრები. რევაზ ხარაზის აზრს იზიარებდნენ ოპოზიციის სხვა წარმომადგენლებიც. მათი თქმით, ქალაქში არსებული უამრავი პრობლემის ფონზე საჯარო მოხელეებს არ უნდა უმატებდნენ ხელფასებს.

- მოსახლეობას აქვს სერიოზული მატერიალური პრობლემები, თქვენ კი ხელფასების ზრდაზე საუბრობთ. ვფიქრობ, რომ არც ვიცემერი და არც სხვა თანამდებობის პირები ხელფასების ზრდას არ იმსახურებენ. ძალიან გთხოვთ, ეს საკითხი ამოვიღოთ დღის წესრიგიდან. მაშინ, როცა 88 მილიონი ევრო დახარჯეთ ბათუმის ახალი სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაციისთვის, მაშინ, როცა ნახევარ მილიონზე მეტი თანხა ამოღებულია და ორი დღის წინ ქალაქი დაგეტბორათ სანიაღვრე არხების გაუმართაობის გამო, დღეს ხელფასებს იზრდით. ხაზგასმით ვამბობ, მხარს არ ვუჭერ და არც არასდროს დავუჭერ იმას, რომ თანამდებობის პირები კიდევ უფრო გაზულუქდნენ. სამწუხაროდ, ასეა. თქვენ ძალიან კარგად იცით, რაც ხდება გარეთ, ეს არის მიზანმიმართული დანაშაული, 100 ლარით უზრდით რიგით თანამშრომელს ხელფასს, 500 ლარით კი იზრდით თქვენ. ეს რა თანასწორობაა, წინა საკრებულოს სხდომაზე გესაუბრეთ, რამდენი სოციალურად დაუცველი ცხოვრობს ბათუმში, ქალაქში ინფრასტრუქტურა განადგურებულია. არ ვაპირებ ამ განხილვაში მონაწილეობას და საკრებულოს სხდომას ვტოვებ, - განაცხადა რეზო ხარაზმა. ამ განცხადებას გამოეხმაურა საკრებულოს წევრი „ქართული ოცნებიდან" თენგიზ აფხაზავა, რომელმაც ოპოზიციონერის ნათქვამს სიცრუე უწოდა.



- რაც საკრებულოს სხდომაზე გააჟღერა რევაზ ხარაზმა, თითქოს საკრებულოს თანამშრომლებს ემატებათ 500 ლარი, ხოლო რიგით თანამშრომლებს ხელფასი 100 ლარის ოდენობით ეზრდებათ, არასწორი ინფორმაციაა. საკრებულოში მას შემდეგ არ ყოფილა ხელფასის ზრდა, რაც ხელისუფლება შეიცვალა. 2014-17 წლებში საკრებულოში ვიყავი საფინანსო კომისიის თავმჯდომარე და 96 მილიონი იყო ბიუჯეტი, ახლა კი 300 მილიონია ბიუჯეტის ოდენობა. ქალაქის არეალი გაფართოვდა, სამუშაოების რაოდენობა გაიზარდა უსაზღვროდ, ასევე, პროექტების რაოდენობა და მოცულობაც როგორც შესრულების თვალსაზრისით, ისე ფინანსურად გაიზარდა. როდესაც შემოსავლები იზრდება, იქ სათანადოდ, გარკვეული პროცენტით, ხელფასი ყველა თანამშრომელს ეზრდება. ანალოგიურია სახელმწიფო სტრუქტურაშიც. ვიცე-მერს მხოლოდ 7% მოემატა ხელფასი, საბავშვო ბაღის თანამშრომლებს კი 25%. აქ იყო დამატებითი შემოსავლები ტენდერების ეკონომიების ხარჯზე, შესრულებული სამუშაოების ხარჯზე, მოსაკრებლების ხარჯზე და შესაძლებელი გახდა ბიუჯეტის ზრდაც, - განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში „ქართული ოცნების" წევრმა თენგიზ აფხაზავამ.

# მუნიციპალურ ტრანსპორტში მგზავრობის საფასურის გადახდა ნებისმიერი ბარათით იქნება შესაძლებელი

**ფიქრია დავლაძე 579 25 25 72**

ბათუმის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8 დადგენილებაში ცვლილება შევიდა, რომლის თანახმადაც, მუნიციპალურ ტრანსპორტში მგზავრობის საფასურის გადახდა ნებისმიერი საბანკო ბარათით იქნება შესაძლებელი. ეს სიახლე 31 ოქტომბერს ბათუმის საკრებულოს სხდომაზე გაჟღერდა. ბათუმის საკრებულოს სხდომაზე ასევე, საუბარი იყო მიკროავტობუსით მგზავრობის საფასურზე, საკრებულოს გადაწყვეტილებით, ბათუმში მიკროავტობუსით მგზავრობის ფასი 2025 წლის აპრილამდე, ისევ 50 თეთრი რჩება. შეგახსენებთ, რომ მიკროავტობუსებში თითქმის 10 თვეა, რაც მგზავრობის გადასახადი მძღოლების მიერ თვითნებურადაა გაზრდილი და მძღოლები მგზავრებს უკანონოდ 50-ის ნაცვლად 70 თეთრს ახდევინებენ. გარდა ამისა, შეიცვლება სამარშრუტო ტაქსების მოძრაობის სქემაც. ახალი სქემის მიხედვით, მიკროავტობუსების უმრავლესობის მარშრუტები უცვლელი რჩება, იცვლება მხოლოდ მიკროავტობუსების ყოველდღიური რაოდენობა და ინტერვალი. მიკროავტობუსებს შორის დროის ინტერვალი კი ბათუმის მუნიციპალურმა ინსპექციამ უნდა აკონტროლოს.



# „უკრაინა ნელი და ორგანიზებული ნაბიჯებით უფრო ძლიერდება“

**ლაშა ხომერიკი 593 50 82 69**

*ამჟამად დასავლეთის და რუსეთის დაპირისპირების არეალი უკრაინაა. მერვე თვეა მსოფლიო თვალს ადევნებს უკრაინელთა გმირულ ბრძოლას, თავგანწირვას რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ და აღფრთოვანებულია უკრაინული ჯარის სიმამაცით. ომის იარები შოკისმომგვრელია - ათიათასობით დახოცილი, ასიათასობით დაჭრილი, მილიონობით ლტოლვილი, იავარქმნილი ქალაქები და სოფლები. აღსანიშნავია, რომ არა დასავლეთის უპრეცედენტო დახმარება, უკრაინას გაუჭირდებოდა რუსეთთან გამკლავება და ინიციატივის ხელში აღება. ამას რუსი და დასავლელი ანალიტიკოსები აღიარებენ. ისიც უდავოა, რომ დღეს უკრაინაში წყდება გარკვეულწილად, ევროპის გეოპოლიტიკური სისტემის მდგრადობა, სხვაგვარად რომ ვთქვათ, რუსეთის გამარჯვება ან მარცხი უკრაინაში უამრავი ქვეყნის ბედს გადაწყვეტს. რა სტადიაშია ახლა ომის ფაზა უკრაინაში, რამდენად მნიშვნელოვანია დასავლეთის მხარდაჭერა უკრაინისადმი, ექცევა თუ არა პუტინი საერთაშორისო იზოლაციაში? - ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე გვესაუბრება აჭარის სავაჭრო-სამრეწველო პალატის მრჩეველი დიპლომატიურ საკითხებში, ახალგაზრდა ბიზნესმენთა ასოციაციის თავმჯდომარე, ბსუ-ის დოქტორანტი (ლინგვისტიკა - დიპლომატიურ დისკურსში)* ***ლაშა ბოლქვაძე****, რომელიც ამავე უნივერსიტეტში მიწვეულია იაპონური ენის ლექტორად.*

**- ექსპერტები დაუფარავად აცხადებენ, რომ დღეს უკრაინაში წყდება ევროპის და მათ შორის პოსტსაბჭოთა ქვეყნების ბედი...**

- დიახ, დღეს უკრაინაში წყდება ევროპის ბედი, რადგან მნიშვნელოვანია ევროპის, პოსტსაბჭოთა ქვეყნებისა და ცივილიზებული სამყაროს პოზიციონირება უკრაინაში განვითარებული მოვლენების ასპექტში. ევროპამ ყველა დიპლომატიური თუ სხვა ბერკეტებით უნდა შეძლოს რუსეთის იმპერიული მიზნების ჩახშობა, რათა ის საფრთხეები, რაც რუსეთიდან მომდინარეობს, არ გაგრძელდეს.

**- რატომ არის ასეთი მნიშვნელოვანი უკრაინა დასავლეთისთვის?**

- როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უკრაინაში წყდება ევროპისა და დასავლური ქვეყნების ბედი. აუცილებელია დასავლეთმა შეძლოს იმ ქვეყნის დაცვა, რომელიც მაქსიმალურად ცდილობს, ქვეყანაში დასავლური ღირებულებები დაამკვიდროს, გადაუხვიოს საბჭოური, კორუფციული მმართველობისგან და დაამკვიდროს სახელმწიფოებრიობის მაღალი სტანდარტი.

**- ვხედავთ, რომ რუსეთი ფიასკოს განიცდის უკრაინაში, უკრაინული არმია ათავისუფლებს დაპყრობილ ტერიტორიებს, ამ მხრივ დასავლეთის მხარდაჭერა რამდენად მნიშვნელოვანია რუსეთის საბოლოო დამარცხების თვალსაზრისით?**

- დასავლეთის მხარდაჭერა ცალსახად უმნიშვნელოვანესია. ვიცით, რომ დიპლომატიური და ეკონომიკური მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები გრძელვადიან პერსპექტივაში აუცილებლად ჰპოვებს შედეგს. ასევე მნიშვნელოვანია იარაღით მომარაგება. დასავლეთმა აუცილებლად უნდა გაზარდოს დახმარება რუსული საომარი ძალების შეკავების ეფექტურობისათვის.

**- როგორც ცნობილია, რუსეთმა ნაწილობრივი მობილიზაცია გამოაცხადა, ეს გარკვეულწილად, კრემლის დამარცხების თუ გრძელვადიანი ომის დადასტურებაა?**



- კრემლმა კარგად იცის, რომ უკრაინა საქართველოს და მოლდოვას არ ჰგავს და იგი ეკონომიკური, სამხედრო, დემოგრაფიული, გეოპოლიტიკური კუთხით კონკურენტუნარიანია. ფაქტია, რომ უკრაინა ნელი და ორგანიზებული ნაბიჯებით უფრო ძლიერდება და მეტად მოქნილი ხდება. ამიტომ რუსეთი ცდილობს, სტრატეგიული სვლები შეცვალოს.

**- დასავლეთი რომ ერთსულოვანია უკრაინის მხარდაჭერის თვალსაზრისით, ცხადყო თუნდაც დაწესებულმა სანქციებმა რუსეთის მიმართ, ამ მიმართებით გრძელვადიან პერიოდში რას უნდა ველოდოთ?**

- დაწესებულმა სანქციებმა რუსეთის მიმართ გარკვეული შედეგები უკვე გამოიღო. ამას კარგად ხედავს თვითონ კრემლი, თუმცა არ აღიარებს, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში სანქციები რუსეთისთვის გამანადგურებელი იქნება.

**- აშშ-ის პრეზიდენტმა ბაიდენმა განაცხადა, რომ რუსეთის პრეზიდენტმა სამხედრო დანაშაულები ჩაიდინა, ხოლო ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ რუსეთი ტერორისტულ სახელმწიფოდ ცნო, ექცევა თუ არა პუტინი საერთაშორისო იზოლაციაში?**

- პუტინი დღითი დღე ექცევა საერთაშორისო იზოლაციაში. გარდა ამისა, დიდი ალბათობით, რუსეთში გაიზრდება კრიტიკული მასის ნაწილი, რომელიც დაგმობს პუტინის პოლიტიკას და ფაქტია, რომ რუსეთის მოქალაქეების მნიშვნელოვანი რაოდენობა ტოვებს ქვეყანას. ეს ბევრი რამის მიმანიშნებელი უნდა იყოს.

**- „სამშვიდობო შეთანხმება შედგება მაშინ, როდესაც რუსეთი უკრაინის მსოფლიოში აღიარებულ ტერიტორიებს დატოვებს“,- განაცხადა პოლონეთის პრეზიდენტმა ანჯეი დუდამ, ეს რისი მანიშნებელია?**

- ეს კონკრეტულად პოლონური მხარის მყარი და ურყევი მხარდაჭერის მანიშნებელია უკრაინის მიმართ.

**- რუსეთი რომ არაპროგნოზირებადი ქვეყანაა, ცნობილი ფაქტია, იგი აშანტაჟებს მსოფლიოს ბირთვული იარაღის გამოყენებით, რამდენად რეალურია ბირთვული ომი რუსეთის მხრიდან და ამ მხრივ რა რეაქცია ექნება მსოფლიოს?**

*„ პუტინი დღითი დღე ექცევა საერთაშორისო იზოლაციაში. გარდა ამისა, დიდი ალბათობით, რუსეთში გაიზრდება კრიტიკული მასის ნაწილი, რომელიც დაგმობს პუტინის პოლიტიკას და ფაქტია, რომ რუსეთის მოქალაქეების მნიშვნელოვანი რაოდენობა ტოვებს ქვეყანას. ეს ბევრი რამის მიმანიშნებელი უნდა იყოს*

- პუტინის შანტაჟი მსოფლიოს მიმართ ბირთვული იარაღის გამოყენებასთან დაკავშირებით იმის მანიშნებელია, რომ მთლად ისე არ არის ყველაფერი, როგორც რუსული პროპაგანდისტული მედია გადმოსცემს. რაც შეეხება მისი გამოყენების ალბათობას, გამორიცხული არაფერია, თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ ამის შედეგებიც კარგად ექნება გააზრებული.

**- უკრაინა ყველა ფრონტზე უტევს რუსეთს, ახლახან მის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა ჰააგის სასამართლოში უკრაინელთა გენოციდის აღიარების თაობაზე, რას ფიქრობთ?**

- უკრაინა ყველაფერს აკეთებს მტრის წინააღმდეგ და ეს ბუნებრივიცაა. იყენებს ყველა რესურსს, ყველა შესაძლებლობას, რომ მოახდინოს საკუთარი ქვეყნის, ხალხის დაცვა და მტრის რეალური სახის ჩვენება.

**- ომი უკრაინაში და მისი შედეგები, როგორ შეაფასებდით?**

- ომის შედეგები აშკარაა უკრაინაში. რუსეთი გაუგონარ დანაშაულებს ჩადის და პასუხიც ადეკვატურია, რუსული საომარი ძალები ძალიან დიდ რესურსებს კარგავენ როგორც ცოცხალი, ისე საომარი იარაღისა და ტექნიკის სახით. ამასთან, ამ ომმა მნიშვნელოვანი ეკონომიკური ძვრები მოახდინა როგორც რუსეთში, ასევე, ევროპასა და ბევრ სხვა ქვეყანაში.

**- ჩვენს ქვეყანაზე მინდა გკითხოთ, მით უფრო, რომ წლის მიწურული ამ მხრივ მნიშვნელოვანი იქნება. მაგალითად, ევროკავშირის მხრიდან საქართველოსთვის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭების შემდეგ, რა პერსპექტივა დაისახება ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ?**

- ევროკავშირში გაწევრიანება ხანგრძლივი პროცედურაა. ერთ-ერთი ეტაპია სტატუსის მინიჭება, თუმცა ეს არ არის გარანტია გაწევრიანებისა. გასავლელი გზა ძალიან რთული და ინდივიდუალურია და ამას სჭირდება დრო. პირველი ეტაპის გადალახვა დიდი წარმატებაა ქვეყნისათვის. ეს არის იმის საწინდარი, რომ ჩვენი ქვეყანა უკეთესი გახდეს, რომელსაც ეკონომიკური განვითარების საშუალება ეძლევა მზარდი ფინანსური დახმარებით.

**- დაბოლოს, რა გავლენას მოახდენს ამ ომის რეზულტატი საქართველოს მომავალზე?**

- მიუხედავად უამრავი ხელის შემშლელი ფაქტორებისა, პრობლემებისა, უნებლიეთ თუ განზრახ შექმნილი ნეგატიური მოვლენებისა და მდგომარეობისა საქართველო იქნება უფრო მიმზიდველი, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მოწინავე ქვეყანა, რომელსაც აქვს და ექნება პრეტენზია, განვითარებულ ქვეყნებს შორის დაიმკვიდროს ადგილი.

# იურიდიული დახმარების სააგენტოს ინფორმაციით...

„USAID Rule of Law Program I USAID“ სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით, ბათუმში პარალეგალთა გადამზადების მეორე ეტაპი დაიწყო. სააგენტოს ცნობით, ღონისძიება მოძრაობის „ვაქციოთ კანონი ყველასათვის ხელმისაწვდომი“ ფარგლებში განხორციელდა.



„პროექტ „პარალეგალების“ მეორე ეტაპის მონაწილეები კვლავ აჭარელი სტუდენტები არიან. პარალეგალები არიან არაიურისტი პირები, რომლებიც, შესაბამისი გადამზადების პროგრამის გავლის შემდეგ, ახორციელებენ მოსახლეობისათვის პირველადი სამართლებრივი კონსულტაციის გაწევას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საზოგადოების სამართლებრივი ცნობიერების ამაღლებისა და მართლმსაჯულებაზე თითოეული ადამიანის ეფექტური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის“, - ნათქვამია განცხადებაში.

სააგენტოს ინფორმაციით, შეხვედრებს უძღვებოდნენ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეები დიანა ბერეკაშვილი, თამარ ონიანი და თამარ ალანია.

„პირველ დღეს გაიმართა კარიერული საუბრები. შეხვედრის ფარგლებში მოსამართლეებმა ისაუბრეს პროფესიული ეთიკის, საკვალიფიკაციო მოთხოვნების, განგრძობადი იურიდიული განათლებისა და მოსამართლის როლზე სამართლის უზენაესობის დამკვიდრებაში. მეორე დღეს ჩატარდა ტრენინგი ქალთა უფლებების შესახებ. აღნიშნული ტრენინგის ფარგლებში ძირითადი ყურადღება დაეთმო ქალთა შრომით უფლებებს, დისკრიმინაციას, ქალთა უფლებებს საოჯახო და მემკვიდრეობით სამართალში და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებში, სექსუალურ შევიწროებას საჯარო სივრცეში და მისგან დაცვის სამართლებრივ მექანიზმებს“, - აღნიშნულია განცხადებაში.

**ამირან გურიელიძე**

## უცხოეთი

თურქეთი გააგრძელებს ძალისხმევას შავი ზღვის საშუალებით მარცვლეულის ექსპორტის შეთანხმებისთვის, მიუხედავად რუსეთის ყოყმანისა, - ამის შესახებ თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა განაცხადა. რუსეთი შავი ზღვის ფლოტის გემებზე განხორციელებული „ტერორისტული თავდასხმების“ გამო, როგორც განაცხადა, მარცვლეულის ექსპორტის შესახებ შეთანხმებაში მონაწილეობას წყვეტს. ამასთან, ერთობლივმა საკოორდინაციო ცენტრმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ უკრაინა, თურქეთი და გაერო, მარცვლეულის ექსპორტის შესახებ შეთანხმების ფარგლებში, თურქეთის წყლებში მყოფი უკრაინული მარცვლეულით დატვირთული 16 გემის გადაადგილების გეგმაზე შეთანხმდნენ.

* * *

300-ზე მეტმა ირანელმა ჟურნალისტმა მაჰსა ამინის სიკვდილის გაშუქების გამო დაპატიმრებული ორი კოლეგის გათავისუფლება მოითხოვა. სააგენტო „როიტერის“ ცნობით, ჟურნალისტმა ნილოფარ ჰამედიმ თეირანის საავადმყოფოში, სადაც ამინი კომატოზურ მდგომარეობაში იმყოფებოდა, მორალის პოლიციის მიერ დაკავებული ქალის მშობლებს ფოტო გადაუღო და მოგვიანებით „ტვიტერზე“ გამოაქვეყნა, მეორე დაპატიმრებულმა ჟურნალისტმა ელაჰე მოჰამადიმ კი გააშუქა ამინის დაკრძალვა მის მშობლიურ ქალაქ საყეზში, სადაც საპროტესტო გამოსვლები დაიწყო. ირანის დაზვერვის სამინისტრომ და რევოლუციური გვარდიის სადაზვერვო ორგანიზაციამ ჰამედი და მოჰამადი აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს საგარეო აგენტობაში დაადანაშაულეს. ირანი ირწმუნება, რომ აშშ, ისრაელი და სხვა დასავლური ძალები არეულობის უკან დგანან, რომლებსაც ქვეყნის დესტაბილიზაცია აქვთ განზრახული.

* * *

სამხრეთ კორეაში, სეულში, ჰელოუინის აღნიშვნისას ჭყლეტის დროს დაღუპულთა რიცხვი 154-მდე გაიზარდა. როგორც მედია წერს, დაღუპულთა შორის 26 უცხოელია. სამხრეთ კორეის პრეზიდენტმა მომხდარის გამო გლოვა გამოაცხადა. მან გარდაცვლილთა ახლობლებს მიუსამძიმრა, ხოლო დაშავებულებს სწრაფი გამოჯანმრთელება უსურვა. „ეს მართლაც ტრაგიკულია. წუხელ, სეულის გულში მოხდა ტრაგედია და უბედურება, რომელიც არ უნდა მომხდარიყო“, - განაცხადა სამხრეთ კორეის ლიდერმა.

* * *

ინდოეთში, გუჯარათის შტატში, ფეხით მოსიარულეთა ხიდის ჩანგრევის შედეგად დაღუპულთა რიცხვი 140-მდე გაიზარდა. ადგილობრივი ოფიციალური პირების განცხადებით, ქალაქ მორბში, მდინარე მაჩჩუზე მდებარე ხიდზე დაახლოებით 400 ადამიანი იმყოფებოდა, როდესაც შემთხვევა მოხდა. 230-მეტრიანი ხიდი მე-19 საუკუნეში ბრიტანეთის მმართველობის დროს აშენდა. აღსანიშნავია, რომ ხიდი, 6-თვიანი სარეაბილიტაციო სამუშაოების შემდეგ, 26 ოქტომბერს გაიხსნა.

* * *

ერაყის დედაქალაქში ტერაქტს 10 ადამიანი ემსხვერპლა, 20-მდე კი დაშავდა, აფეთქება ბაღდადის აღმოსავლეთ ნაწილში, საფეხბურთო სტადიონთან ახლოს მოხდა. ასაფეთქებელი მოწყობილობა ავტომობილში იყო დამონტაჟებული. მომხდარზე პასუხისმგებლობა ჯერჯერობით არავის აუღია.

**მოამზადა
ია შველიძე**

აჭარა 101



# აჭარის სკაუტებმა „ჩვენებურებს“ უმასპინძლეს

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

*საქართველოს სკაუტური მოძრაობის აჭარის ორგანიზაციამ (პრეზიდენტი შორენა ლომაძე) სალონურ საღამოზე გულთბილად უმასპინძლა თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ სტამბოლის შოთა რუსთაველის ქართული კულტურის ცენტრის დამფუძნებელსა და მის თავმჯდომარე სეზენ გონენჩ ოქჯანსა (სალომე ბარამიძე) და ამავე ცენტრის თანადამფუძნებელ ორჰან ბერიძეს*



შეკრებილთ მიესალმა აჭარის სკაუტური ორგანიზაციის ლიდერი მაიკო ბერიძე, რომელიც დარბაზში მსხდომთ სტუმრების საქმიანობაზე და სკაუტური ორგანიზაციის ამ ცენტრთან დამეგობრობის შესახებ ესაუბრა. როგორც აღნიშნა, მათი მეგობრობა წლებს ითვლის. ამ ორი ორგანიზაციის წარმომადგენლები ერთმანეთს, ტრადიციულად, თავიანთ ქვეყნებში ყოველწლიურად გულთბილად მასპინძლობენ. სკაუტებს არც ერთი ბანაკი არ ჩაუტარებიათ თურქეთში ისე, რომ ქართული კულტურის ცენტრში სტუმრობა პროგრამაში არ შეეტანათ. „ჩვენებურები“ ყოველთვის დიდი სითბოთი და სიყვარულით ხვდებოდნენ და ხვდებიან საქართველოდან სკაუტების მიერ ჩატანილ ქართულ ცეკვასა და სიმღერას. რაც შეეხება ბატონი ორჰანის სკაუტებთან მეგობრობას, წლების წინ, თურქეთში, სტამბოლის ბანაკში დაიწყო, სადაც ის მასწავლებლად (ტრენერად) იყო მიწვეული და სამაშველო მიმართულებით სკაუტებს ტრენინგებს უტარებდა.

ერთმანეთთან თანამშრომლობის ფარგლებში, მათი ორგანიზატორობით, ორივე ქვეყანაში დაიგეგმა და ჩატარდა არაერთი მნიშვნელოვანი შეხვედრა და აქტივობა. მათგან ერთ-ერთი, თავისი მნიშვნელობით, სხვებისგან გამორჩეული იყო. მისი ინიციატორი გახლდათ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2019 წელს ბათუმის უნივერსიტეტმა, თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ სტამბოლის შოთა რუსთაველის ქართული კულტურის ცენტრმა, აჭარის სკაუტურმა ორგანიზაციამ და ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურმა ცენტრმა ჩაატარეს შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ პირველი საერთაშორისო ფესტივალი. ამჟამინდელი შეხვედრის მთავარი მიზანიც სამომავლო გეგმების დასახვა იყო.

> *„ბატონი ორჰანი და ქალბატონი სალომე თურქეთში ჩვენი ძალიან დიდი დიასპორის წარმომადგენლები არიან და ხელმძღვანელობენ შოთა რუსთაველის სახელობის კულტურის ცენტრს, რომელმაც უკვე ძალიან დიდი საქმეები გააკეთა ქართული კულტურის, ჩვენი დიდი განძის, სავიზიტო ბარათის - „ვეფხისტყაოსნის“ პოპულარიზაციისთვის. ბევრი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა, რომელშიც აქტიურადაა ჩართული აჭარის სკაუტური ორგანიზაცია*

ქალბატონი სალომე ბარამიძე და ორჰან ბერიძე განსაკუთრებული ადამიანები არიან, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ „ჩვენებურებს“ პატარა საქართველოს უქმნიან და უფრო ახლოს აცნობენ მათ ჩვენს ქვეყანას, ეხმარებიან თურქეთში მცხოვრებ ქართველებს ქართული ენის შესწავლაში, აცნობენ ქართულ კულტურასა და ხელოვნებას, ტრადიციებს, გეგმავენ და ახორციელებენ ერთობლივ გაცვლით პროგრამებს. მათ დიდი წვლილი მიუძღვით თურქეთსა და საქართველოს შორის ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავებაში.

- ქალბატონი სეზენი და ბატონი ორჰანი ჩემთვის განსაკუთრებული სტუმრები არიან, მათ მადლობა მინდა გადავუხადო ჩამობრძანებისთვის, სითბოსთვის, სიყვარულისთვის, მეგობრობისთვის, რომელიც წლების წინ დაიწყო და დღემდე ამ სიყვარულითა და პატივისცემით მოვდივართ. მეგობრობა და სიყვარული გადაგვარჩენს. მადლობა ყველას, ვინც ჩვენს ორგანიზაციას გვერდით უდგას, მადლობა ჩემს სკაუტებს, რომლებიც კეთილსინდისიერად აკეთებენ მინდობილ საქმეს, - თქვა შორენა ლომაძემ.

- ჩვენ, ცენტრის გარდა, დავაარსეთ ასოციაციები, სადაც, ასევე, ქართული საქმე კეთდება. ყველაფერში თქვენი ჩვენდამი სითბო გვეხმარება. ბედნიერები ვართ, რომ ვეხმარებით მათ, ვისაც სურს გვარი დაიბრუნოს, უკვე რამდენიმემ დაიბრუნა კიდეც. მადლობა მობრძანებისთვის, ყველას სტამბოლში გეპატიჟებით, - თქვა სალომე ბარამიძემ.

- თავიდანვე გეტყვით, რომ ვინც საქართველოს ებრძვის, არც კი იცის, რომ დამარცხებულია. მე რამდენიმე წლის წინ სტამბოლში ვმუშაობდი მაშველად და ბანაკში ვატარებდი სემინარებს, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ ბავშვები მიწისძვრის დროს. იქ იყო ძალიან ბევრი სკაუტი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან და უცებ დავინახე ქართული დროშა. მაშველის ფორმაში ვიყავი და ასე მივედი ბავშვებთან, მივესალმე და ვეუბნები, რომ ქართველი ვარ... მოვიდა ქალბატონი შორენა, გავეცანით ერთმანეთს... აი, აქედან დაიწყო ჩვენი მეგობრობა და მას შემდეგ ძალიან ბევრი საქმე გავაკეთეთ ერთად. ეს სკაუტები, ბავშვები ჩვენი დიასპორასთან მეგობრობის ხიდია. ბევრი სკაუტი უნდა იყოს საქართველოში, ისინი ბევრ საქმეს აკეთებენ. რაც შეეხება ჩვენს ცენტრს, ძალიან დიდი საქმე კეთდება. ჩვენთან „ვეფხისტყაოსანი“ რომ იწერება ხელით, ეს ბათუმის უნივერსიტეტისა და სკაუტების თანადგომით კეთდება. ახლა მეორე ფესტივალისთვის ვემზადებით და მჯერა, რომ ესეც კარგად ჩატარდება. ამ შეხვედრასაც წლების შემდეგ თბილად გავიხსენებთ, - აღნიშნა ბატონმა ორჰან ბერიძემ, რომელმაც ქართველი პოეტების არაერთი სტროფი წაიკითხა ზეპირად.

შეხვედრის მონაწილეებმა თავიანთი წილი სიყვარული მიაგეს სტუმრებს. აღნიშნეს, რომ ისინი ძალიან დიდი დიასპორის წარმომადგენლები არიან თურქეთში. მათ მიერ დაარსებულმა ქართული კულტურის ცენტრმა არაერთი მნიშვნელოვანი საქმე გააკეთა ქართული კულტურისა და ტრადიციების წარმოსაჩენად, ასევე ჩვენი საოცარი განძის - „ვეფხისტყაოსნის“ პოპულარიზაციისთვის.

პოეტმა ცისანა ანთაძემ ბერიძეებისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსი წაიკითხა. სიტყვით გამოვიდნენ ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარე რამაზ ჯინჭარაძე და აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ფრიდონ ფუტკარაძე.

გთავაზობთ რამდენიმე გამომსვლელის სიტყვას.

**ჩიტო ომერაძე, ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის ოფისის მენეჯერი:**

- მნიშვნელოვანია დღევანდელი შეხვედრა ჩვენებურებთან. მათ პირველად შორენა ლომაძის თანადგომით, სტამბოლის ქართული კულტურის ცენტრში შევხვდი, ეს არის დიდი ქართული სახლი, შესანიშნავი ბიბლიოთეკით, სადაც არაერთი ქართული საქმე კეთდება. იქ ძალიან ბევრ ღონისძიებას ჩაეყარა საფუძველი. ერთ-ერთი საუკეთესო იყო ინიციატივა, რომელიც ბათუმის უნივერსიტეტიდან წამოვიდა, დაიგეგმა და ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრში (დირექტორ გიორგი მიქელაძესთან) ბრწყინვალე საღამოთი დაგვირგვინდა. მასში აქტიურად მონაწილეობდნენ ჩვენი სოროპტიმისტთა კლუბ „ბათუმის“ ქალბატონები. ჩვენ მეორე ფესტივალშიც აუცილებლად მივიღებთ მონაწილეობას. როცა ბატონი ორჰანი გავიცანი, გაოცებული დავრჩი, როგორ იცის მან ჩვენი სასიქადულო პოეტების შემოქმედება. ახალი ღონისძიებებისთვისაც ჩვენს სკაუტებთან ერთად მოვემზადებით. მიხარია, რომ სტამბოლში ისეთი ორგანიზაცია არსებობს, რომელსაც ჩვენი დიდი ქართველები ხელმძღვანელობენ და თანაც ასე წარმატებულად - იქაური ქართველებისთვის დიდ საქმეს აკეთებენ. მადლობა მათ. ჩიტო ომერაძემ ცენტრს სამახსოვრო საჩუქარი გადასცა - ზურაბ გორგილაძის პორტრეტი და ლექსი.

**შუშანა ფუტკარაძე, პროფესორი:**

- მოხარული ვარ, რომ დღეს ასეთი დასამახსოვრებელი ღონისძიება ტარდება. ჩვენებურებს უფრო მეტი მოფერება და ყურადღება, მეტი სიახლოვე, ხშირად მოწვევა სჭირდებათ. ადრე უფრო ხშირად ჩამოდიოდნენ იქაური ქართველები, ჩვენები მიდიოდნენ იმათთან სტუმრად, ეს ტრადიცია უნდა გაცოცხლდეს ისევ იმიტომ, რომ იქაურ „ჩვენებურებს“ უყვართ, ესიზმრებათ საქართველო და ამის უამრავი მაგალითია ჩემს წიგნში. ეს ჩემი თხოვნაა და კარგი იქნება, თუ მას სამომავლოდ გაითვალისწინებს ჩვენი ხელისუფლება - კონტაქტები უნდა გააქტიურდეს და იმაზე ბევრად უკეთ, ვიდრე წარსულში იყო, რათა უფრო მეტად შევიყვაროთ ერთმანეთი იქაურმა და აქაურმა ქართველებმა.

**რამაზ ხალვაში, ბსუ-ის პროფესორი:**

- ბატონი ორჰანი და ქალბატონი სალომე თურქეთში ჩვენი ძალიან დიდი დიასპორის წარმომადგენლები არიან და ხელმძღვანელობენ შოთა რუსთაველის სახელობის კულტურის ცენტრს, რომელმაც უკვე ძალიან დიდი საქმეები გააკეთა ქართული კულტურის, ჩვენი დიდი განძის, სავიზიტო ბარათის - „ვეფხისტყაოსნის“ პოპულარიზაციისთვის. ბევრი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა, რომელშიც აქტიურადაა ჩართული აჭარის სკაუტური ორგანიზაცია. ძალიან დიდი მომავალი აქვს ჩვენს ურთიერთობებს. მინდა, ჩატარდეს ისეთი ღონისძიებები, რომლებიც დიასპორასთან კიდევ უფრო დაგვაახლოებს და არა მხოლოდ თურქეთის ქართულ დიასპორასთან.

**ნიაზ ზოსიძე, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი, მწერალი, პუბლიცისტი:**

- ჩვენი შეკრების ადგილიდან მესამე ქუჩა ატარებს ახმედ მელაშვილის სახელს. სიყვარულმა და მეგობრობამ მანძილი არ იცის. აქედან ათას კილომეტრში შოთა რუსთაველის ქართული ცენტრი დააარსა ორმა დიდმა ქართველმა - სალომემ და ორჰანმა, მათ ამისთვის მადლობა უნდა ვუთხრათ. თურქეთში მოვიარე ქართველებით დასახლებული 140-მდე სოფელი და ყველგან ერთმანეთს სიყვარულით ვხვდებოდით. მადლობა დღევანდელი დღისთვის.

ნიაზ ზოსიძემ სტამბოლის კულტურის ცენტრის ხელმძღვანელებს საჩუქრად წიგნები გადასცა.

**ნანა საყვარელიძე, დედათა და ბავშვთა თავშესაფრის ხელმძღვანელი:**

- 10 წლის წინ ვიმყოფებოდი სტამბოლში, სადაც იქაურ სოციალურ პროგრამებს გავეცანი. მაშინ ძალიან კარგად გვიმასპინძლეს იქაურმა ქართველებმა. მაშინდელი მერი საქართველოსთან ფესვებით იყო დაკავშირებული. არასოდეს დამავიწყდება მათი გვერდით დგომა და დახმარება. მოვიარეთ რეაბილიტაციის ყველა ცენტრი, ძალიან დატვირთულები წამოვედით როგორც ცოდნით, ასევე შთაბეჭდილებებით და იქ მიღებული გამოცდილებით ბევრი რამ ჩვენთან დავამკვიდრეთ კიდეც. აღსანიშნავია, რომ თურქმა მეგობრებმა ჩვენი ცენტრი გაგვირემონტეს და ავტობუსიც შეგვიძინეს, დიდი მადლობა მათ.

**მერი ზოიძე, სოროპტიმისტთა კლუბ „ბათუმის“ წარმომადგენელი:**

- სოციალური ქსელით თვალყურს ვადევნებ სალომესა და ორჰანის საქმიანობას და მიხარია, რომ ასეთი კარგი ქართველები გვყავს იქ. ბურსასა და ინეგოლში არაერთი ავალიანი ცხოვრობს. მე დედით ავალიანი ვარ. ჯერ კიდევ მაშინ ვიყავი იქ, როცა საზღვარი არ იყო გახსნილი და ბურსაში ახმედ მელაშვილის მიერ დაარსებულ ცენტრს ვეწვიე. შემდეგ ეს საქმე მისმა შვილმა ივერი მელაშვილმა გააგრძელა. დღესაც იმ შეხვედრების შთაბეჭდილების ქვეშ ვცხოვრობ. ორი კვირა ვატარე 40 „დედაენა“ ეგვიპტეში და მერე იქიდან ჩავიტანე თურქეთში, სტამბოლის გავლით - ინეგოლში. თურქეთში არის საოცარი დიასპორა, სითბოთი, სიყვარულით განმსჭვალული. ისინი ჩვენგან ელოდებიან მხარდაჭერას, თანადგომას, თბილ ურთიერთობას. ვფიქრობ, ეს კულტურული ურთიერთობები დიდ საქმეს აკეთებს. ამიტომ კიდევ უფრო უნდა განმტკიცდეს და გაღრმავდეს. მადლობა შორენა ლომაძეს იმ დიდი საქმისთვის, რომელსაც აკეთებს, სწორედ მისი მეშვეობით გავიცანით ჩვენ სალომე და ორჰანი.

**მედეა ჩარკვიანი, ნობელების მუზეუმის ხელმძღვანელი:**

- წლების წინ ერთად ვიყავით მე და შორენა ორჰან ბერიძესთან და ყველაზე მეტად გამაკვირვა მისმა ხაზგასმულმა პატრიოტიზმმა. ალბათ აი, ასეთ ადამიანებზეც დგას საქართველო. ემიგრაციაში მცხოვრებ ქართველებს გამორჩეული ნოსტალგია აქვთ საქართველოს მიმართ, მაგრამ ბატონი ორჰანი მუდამ საქართველოზე ფიქრობს. მადლობა ქალბატონ სალომეს და ბატონ ორჰანს დიდი ქართველობისთვის.

სოროპტიმისტთა კლუბ „ბათუმის“ ხელმძღვანელებმა მაია სურმანიძემ და ადა ქუთელიამ აღნიშნეს, რომ კარგად იციან ქართული ცენტრის საქმიანობის შესახებ, რომ იქაურ ქართველებს იქ პატარა საქართველო აქვთ მოწყობილი და გულს უთბობენ „ჩვენებურებს“. მაია სურმანიძემ სტუმრებს სტამბოლის ქართული ცენტრისთვის საჩუქრად გადასცა წიგნი, რომელიც საქართველოში სოროპტიმისტთა მოღვაწეობის 30-წლოვან იუბილეს ეძღვნება.

ქალბატონმა სალომემ და ბატონმა ორჰანმა საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის ურთიერთთანამშრომლობისა და თურქეთში მცხოვრებ მუჰაჯირთა შთამომავლების იდენტობის, ისტორიული მეხსიერების წარმოჩენის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის შეხვედრაზე მოწვეული საზოგადოების რამდენიმე წევრს შოთა რუსთაველის სახელობის კულტურის ცენტრის სახელით მადლობის სიგელები გადასცეს.

სალომე ბარამიძე და ორჰან ბერიძე აჭარაში ყოფნის ერთკვირიანი სტუმრობის დროს მიიღო აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძემ, ისინი დაესწრნენ პირველ მეგრულ-სვანურ-ლაზურ საერთაშორისო ფესტივალს ზუგდიდში, იმყოფებოდნენ დადიანების სახლ-მუზეუმში. პატივი მიაგეს ზურაბ გორგილაძის, ფრიდონ ხალვაშის, რამაზ სურმანიძისა და ზაზა ხალვაშის ხსოვნას - მათი საფლავები ყვავილებით შეამკეს. იმყოფებოდნენ ბათუმის ხელოვნების ცენტრში, დაათვალიერეს ცენტრთან არსებული ეთნოგრაფიული მუზეუმი, თავად ცენტრი. დაესწრნენ აჭარის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლ „არსიანის“ რეპეტიციას. მათ ანსამბლის წევრებთან ერთად უმასპინძლა ქორეოგრაფმა თემურ ქორიძემ. მოცეკვავეებთან ერთად სალომე ბარამიძემ შეასრულა „აჭარული“, ბატონმა ორჰანმა ლექსი წაიკითხა. დაათვალიერეს ზურაბ გორგილაძის სახლ-მუზეუმი, სადაც მათ უმასპინძლათ ზურაბ გორგილაძის მეუღლემ, ქალბატონმა ლეილამ, შთაბეჭდილების წიგნში გააკეთეს სამახსოვრო ჩანაწერი. აქაც წაიკითხა ბატონმა ორჰანმა ზურაბ გორგილაძის ლექსები. მეორე დღეს შეხვედრა გაიმართა მუსიკალური ცენტრის ოფისში ქალბატონ ჩიტო ომერაძესთან, სადაც დატოვეს 2023 წელს „ვეფხისტყაოსნის“ მეორე საერთაშორისო ფესტივალთან დაკავშირებით განსახორციელებელი პროექტი. დასკვნითი, გამოსამშვიდობებელი შეხვედრა გაიმართა აჭარის სკაუტების ორგანიზაციაში, სადაც სტუმარ-მასპინძლებმა საჩუქრებიც გაცვალეს.

# „აქ საქართველოს უმღერენ...“

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

***პოეტი ბელა ქებურია არამარტო შემოქმედებით გამოირჩევა. იგი ნიჭიერ ნორჩ შემოქმედებს გზას უკვალავს ნამდვილი პოეზიისკენ. არც საკუთარ ტალანტს ღალატობს და, რამდენადაც ვიცით, რომანზეც მუშაობს***

*ვფიქრობთ, ასეთი შემოქმედებითი აღმაფრენა ტალანტთან ერთად, საზოგადოებრივი მოღვაწეობის იმ გზამაც განაპირობა, რომელიც პოეტმა ქალმა დღემდე გამოიარა. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ ასპირანტურის სტაჟირება გაიარა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ჯერ XIX, ხოლო შემდეგ XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრებზე მუშაობდა, ასევე საქართველოს რადიოს ახალგაზრდულ გადაცემათა რედაქციაში - „სიჭაბუკე“ ჟურნალისტად; 1982 წლიდან ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში - ლექტორად, პარალელურად, ამავე უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრის, ხოლო შემდეგ ლიტერატურული სალონის ხელმძღვანელად ცნობილ ჟურნალისტ და მწერალ მუხრან კობალაძესთან ერთად. ქართველი მწერლების - ფრიდონ ხალვაშისა და ზურაბ გორგილაძის სახელობის ნორჩ შემოქმედთა ლიტერატურულ კონკურს „ზღვაურის“ დამფუძნებელია და ამავე სახელობის ლიტერატურული ჟურნალის მთავარი რედაქტორი. მისი ლექსები შესულია ქართული პოეზიის, ქართული საბავშვო პოეზიის, სომხურ და ინგლისურ ენებზე გამოსული თანამედროვე ქართული პოეზიის ანთოლოგიებში, ეს უკანასკნელი ორჯერ, 2007 და 2017 წლებში ერევანში გამოიცა. ბელა ქებურიას ლექსები თარგმნილია ინგლისურ, ფრანგულ, იტალიურ, გერმანულ, სომხურ, რუსულ, უკრაინულ, თურქულ, აზერბაიჯანულ, ესპანურ და ბერძნულ ენებზე. თავადაც თარგმნა უილიამ ვორდსვორტის, აჟდარ ოლის, გაგიკ დავთიანის, ვეისელ ჩოლაქის, ლეილა იშიქის, ათაოლ ბეჰრამოღლუსა და ვოლოდიმირ ლუჩუკის ლექსები. წერს სცენარებს, ატარებს მასტერკლასებს, შემოქმედებით საღამოებს როგორც ბათუმში, ისე საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ასევე უცხოეთში. ქალბატონ ბელას ლექსებზე 20-ზე მეტი სიმღერა შეიქმნა. მისი ლექსები აამღერეს კომპოზიტორებმა მანანა ხორავამ (საგუნდო), ზვიად ბოლქვაძემ, მინდია ხითარიშვილმა, მანანა გაბაიძემ და დავით შვანგირაძემ (ჰიმნი ქუთაისს). 12 სიმღერა უკრაინულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე შექმნა უკრაინული როკ-ჯგუფ „კო-ნგოს“ ხელმძღვანელმა და კომპოზიტორმა სერგეი გოლუბევმა, ხოლო ესპანეთში მცხოვრებმა ქართველმა კომპოზიტორმა და მომღერალმა მაია სიჭინავამ - 6 სიმღერა. არის „რჩეული შემოქმედის“ (აჭარის მწერალთა ორგანიზაციისგან) წოდების მფლობელი, ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსგან - მადლობის სიგელი დაიმსახურა. 8 ლიტერატურული პრემიის ლაურეატია. სხვადასხვა ღონისძიებაში აქტიური მონაწილეობისა და მომავალ თაობათა შემოქმედებითი კუთხით განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის მიენიჭა „ბათუმის დამსახურებული მოღვაწის“ წოდება. ამჟამად პატრიარქის ჩოხოსნების კულტურის სამსახურშია მოადგილის პოზიციაზე. ქალბატონი ბელა საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალის „ზე-კართან“ (დამფუძნებელი და ხელმძღვანელი - ვ. ბერიძე) საპატიო ყაბალახისა და „მაჭახლობის“ საპატიო ქამრის მფლობელია, არის სხვადასხვა საქველმოქმედო ფონდის წევრი, 8 წიგნის ავტორი, 11 წიგნის თანაავტორი, 30-მდე წიგნის რედაქტორ-შემდგენელი. იგი დღეს ჩვენი სტუმარია.*

**- ქალბატონო ბელა, როგორ შემოვიდა აჭარა თქვენს შემოქმედებაში?**

- ჩემი წინაპრები მე-20 საუკუნის დასაწყისიდან ბათუმში ცხოვრობდნენ. აჭარა ჩემთვის ისეთივე ახლობელი იყო, როგორც მშობლიური ჩხოროწყუ, სადაც დავიბადე. ერთი პერიოდი თბილისშიც ვცხოვრობდი და ვმუშაობდი. აქედან გამომდინარე, ჩემი ცხოვრება ეტაპებადაა დაყოფილი, მაგრამ რომ მკითხონ, სად ვიცხოვრებდი, სად უფრო რეალიზებულად ვგრძნობ თავს, რა თქმა უნდა, ეს აჭარაა, ჩემი უსაყვარლესი ბათუმ-ქალაქი. პატარაობიდანვე გულით მომიხაროდა ბათუმში და ასევე მიმეჩქარებოდა ჩემს მშობლიურ კუთხეში. ბედმა ამ კუთხეს დიდი სიყვარულითაც დამაკავშირა და აქედან გამომდინარე, სულიერ სწრაფვასა და სიყვარულთან ერთად შემოვიდა ფიზიკური სიყვარულიც, რომელიც ადამიანთა ცხოვრებას ალამაზებს, საინტერესოს ხდის. ცნობიერად თავს ამ კუთხის შვილადაც მივიჩნევ, მაგრამ ამავე დროს აქაურების რძალიც ვარ და ეს ჩემთვის დიდი პატივი და პასუხისმგებლობაა, რასაც პირნათლად ვემსახურები.

**- რა მოტივით აირჩიეთ აქაური ჭაბუკი გულისსწორად?**

- არანაირი მოტივი. სიყვარული მოვიდა, მორჩა და გათავდა! თუ არსებობს ერთი ნახვით შეყვარება, ეს პირადად გამოვცადე, ზუსტად ასე იყო. ცნობილი გამოთქმის პერიფრაზირება რომ გამოვიყენოთ: შევხვდი თუ არა, მივხვდი, რომ ის ის იყო და ისიც მიხვდა, რომ იპოვა, ვისაც ეძებდა.



**- იშვიათია აჭარის ზღვისპირეთსა და მთაში შემოქმედებითი ხასიათის ღონისძიება, რომლებშიც აქტიურად არ მონაწილეობდეთ. ამჯერად აჭარის მთიანეთში, ისტორიულ ჭვანის ხეობაში, კოლეგებთან ერთად „მომავლის სოფელი“ მოინახულეთ. როგორი შთაბეჭდილებით ტოვებთ ამ გარემოს?**

- გულწრფელი მინდა ვიყო. ოჯახური პირობების გამო წამოსვლა-დარჩენის ფიქრი მქონდა... მაგრამ ინტერესმა მძლია. მით უმეტეს, ეს ეხება ამ კუთხის შვილის მიერ ქრისტიანული სამლოცველოს მშენებლობას, მალე მისი საზეიმო კურთხევაც მოხდება. ვაითუ, მერე არ მომცემოდა წამოსვლის შესაძლებლობა. ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო ეს მოვლენა, რადგან ცნობილია, რა კვალი და მემკვიდრეობაც დატოვეს ოსმალო მომხდურებმა ამ კუთხეში. ჩვენ რელიგიათა და ინტერესთა გამძაფრებულ გზაჯვარედინზე ვცხოვრობთ... თითოეული ნაბიჯი, გულით გაკეთებული საქმე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ჩვენი საზოგადოების ცნობიერებაზე. იმის მიუხედავად, რომ მწერლობასა და საერთოდ, ხელოვან ადამიანებზე არაერთხელ მიიტანეს იერიში, ეცადნენ მათ დისკრედიტაციას. მწერლებს, პოეტებს, ხელოვნების სხვადასხვა დარგის მოღვაწეებს იმედის თვალით შეჰყურებს ხალხი, ჩვენს სიტყვას გულისყურით ისმენენ, დასკვნებსაც უმალვე აკეთებენ. ამანაც განაპირობა მწერლების აქ სტუმრობა. თანაც მსურდა, საკუთარი თვალით მენახა, როგორი ტაძარი აშენდა. ის, რაც ერის სულიერი დუღაბის მისიას ასრულებს - ჩემთვის უპირველესია... არ ვიცი, ამ ახალგაზრდა კაცზე - ლევან (ანდრია) მჟავანაძეზე ასეთი რა მადლი გადმოვიდა, უფლის ხმას რომ მიჰყვა და ამ მაღალ მთებში წარმოუდგენელი და უმშვენიერესი რამ გააკეთა. ბედნიერებისა და ემოციისგან სუნთქვა მეკვრის, რადგან ისტორიული ჭვანის ხეობაში მართლმადიდებლური სამლოცველოს ზარის ახმიანება წინაპრებს საფლავებში შეათრთოლებს და მათი სულები ზეცაში გაიხარებენ. გულწრფელად გითხრათ, ასეთ გრანდიოზულს ნამდვილად არ ველოდით. გზად მომავალნი ვფიქრობდით, რომ დაგვხვდებოდა სამლოცველო, ისეთი, როგორიც დღეს მრავლად შენდება... ნახულმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა. როგორც კი თვალი შევავლე ყველაფერს - ახალი გზის მონაკვეთიდან მეურნეობით, ვენახით, სკებით, ეზოთი, სახლებით, კლდეში გამოკვეთილი ქვაბულით, რომელიც დარბაზად და სამზადად უქცევია მფლობელს, გაოცება ვერ დავფარეთ. სხვანაირი, ბედნიერების განცდის გრძნობა დაგვეუფლა. აღტაცებამ დაგვამუნჯა. ჯერ რად ღირს ფერდობზე ჩაყრილი ათას ძირზე მეტი ვაზი, სიყვარულითა და რუდუნებით მოვლილი, რომლის თითოეულ ძირთან დამრეც ფერდობზე გაკეთებულ საფეხურებს მიჰყავხარ! რა ხელმა, რა გულმა, რა სიყვარულმა აკეთა ეს ყველაფერი. მახსენდება ზურაბ გორგილაძის „სულხან-საბა“, სულში აცრილ ვაზზე რომ საუბრობს... ახლა ვიგრძენი - რისი თქმა სურდა. უყურებ ამ ყველაფერს და გახსენდება დიდი კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“, სადაც არსაკიძე ამბობს: „შრომაა უდიდესი სიქველე ამქვეყნად და არც არაფერი ამშვენებს ისე ვაჟკაცს, როგორც შრომაში გამოჩენილი სიმამაცე“, - აი, ამ სიმამაცესთან, ამ გმირობასთან გვაქვს ჩვენ დღეს საქმე... რადგან, სამწუხაროდ, მრავლად არიან ადამიანები, რომლებმაც მთელი ქონება ქარს გაატანეს, მაცდურ სურვილებს მინდობილთ ხუხულასავით დაენგრათ ნაშენები „იმპერიები“, რადგან მათი დრო, სახსრები, ენერგია, ნიჭი და ტალანტი მამულს, შვილების მომავალს და ღვთისთვის სათნო საქმეებს არ მოახმარეს. ეს ახალგაზრდა კაცი კი ნიმუშია, ორიენტირია ყველა ჩვენგანისთვის, თუ როგორ უნდა გიყვარდეს, იხარჯებოდე და ახარებდე ყველას, ვისაც მამულისთვის გული უძგერს. ბოლოს, როცა ყველაფერი გონებაში გადავაანალიზე, უმალ ვიფიქრე, რომ სასწაულებრივ ქმედებასთან გვაქვს შეხება, ყველაფერში ღვთის ძალა, მისი ძლიერი ხელია ჩარეული. მთელი დღეა, ვაკვირდები ბატონ ანდრიას, რომელიც არ გვცილდება და მშვიდი, სიყვარულით და სიხარულით, ბავშვურად გაფართოებული თვალებით ცდილობს, ყველა დეტალი კონკრეტულად აგვიხსნას, ყველაფერი გვაჩვენოს, ჩვენს შეფასებასაც ყურადღებით უსმენს. თანაც საოცრად მოკრძალებული და თავმდაბალია. უყურებ და ხედავ, იგი გაკეთებულით კი არ ამაყობს, არამედ ხარობს. დღეს - გაციებულ, გულგრილ, შურისა და ბოღმის ზეობის ეპოქაში - ეს ნამდვილი სასწაულია. ამ ახალგაზრდის საუბრებიდან, ქცევიდან ვხვდებით, იწყება ახალი ეპოქა. სწორად გამიგეთ, რისი თქმაც მსურს... მთავრდება უეცრად გამდიდრებულ იმ ადამიანთა ეპოქა, რომლებიც მოპოვებულ სიმდიდრეს მხოლოდ პირადი ინტერესებისა და კეთილდღეობისთვის იყენებენ. მოდის თაობა, ბატონი ლევანისა და მისნაირების სახით, რომლებიც მოპოვებულ სიმდიდრეს სამშობლოს, მის განვითარებას, სოფლად მცხოვრებ ადამიანთა სიკეთეს მოახმარენ და ქვეყნის შენების ბალავარში ჩადებენ. ერთი რამეც მინდა აღვნიშნო, ის კეთილმოწყობილი გზები, სანიაღვრე არხებით, ჭვანაში ამოსვლამდე რაც ვნახეთ, საუცხოოა. მადლობა მუნიციპალიტეტს, ყველა იმ ხელმძღვანელ თუ რიგით მშრომელს, ვინც ზრუნავს, რომ ცხოვრების ნორმალური პირობები ყველგან იყოს ხელმისაწვდომი. ყველაფერმა ამან თავიდანვე პოზიტიურად განგვაწყო. მოკლედ ვიტყვი, ბათუმიდან ცოტა სხვანაირი შეგრძნებით მოვდიოდი, ვფიქრობდი, ყველაფერი ტრადიციული დამხვდებოდა, ადგილიც, მასპინძელიც, მარანიც კი. ბატონმა ლევანმა შეძლო ახალი მიმართულება მიეცა ტრადიციული შენების პროცესისთვის, რადგან რაც გააკეთა, თანამედროვე ჭრილში გააკეთა და ამით გზა გაუკვალა ახლებურ აზროვნებას. მე აღფრთოვანებული ვარ, სიხარულს ვერ ვფარავ. ეზო, სახლი, მიმოსახედი, ოჯახი, მეუღლე, შვილები, მიზნები, იდეები, აზრები, სუფრა, კულტურა... ჩვენ, მწერლები, როგორც ყოველთვის, ვხმაურობდით, ის კი რა მოკრძალებულად, დუმილით და წყნარად გვისმენდა. უფალმა დალოცოს, ქვეყანას ასეთი შვილები არ მოჰკლებოდეს. დაე, მისი ეს წამოწყება სხვებისთვის მაგალითი იყოს!

**- ამ ხანებში აჭარის მთიანეთში რამდენიმე მნიშვნელოვანი ღონისძიება გაიმართა. საზოგადოება აქ გხედავთ. რას მივაწეროთ: გულის კარნახს თუ აქაურობისადმი მოკრძალებულ სიყვარულს?**

- მთელი ჩემი ცხოვრება სიყვარულია. მიყვარს ადამიანი, სამყარო, მიყვარს ყველაფერი კარგი, რაც ამ სამყაროშია. მიყვარს ასე დალოცვა: - უფალო, როგორც მე მახარებს სხვათა სიკეთე და ბედნიერება, ისე ახარე ყველა ერთმანეთისა თუ ჩემი ბედნიერებით. მეტი არ მინდა. გულწრფელად ვამბობ, სტუდენტობიდან მოყოლებული პატივს ვცემ მთიან აჭარას. აქედან თანაკურსელი მეგობრები მყავს და ეს ურთიერთობები დღესაც გრძელდება. რეზო შარაშიძე, ჭაღალიძეები, ხულოდან თემურ ართმელაძე, ნოდარ შავაძე, ოთარ გელაძე, სერგო ხიმშიაშვილი, ირემაძეები... მაპატიონ, თუ ვინმე გამომრჩა. ყველანი საინტერესო ბიოგრაფიით მოდიან, ქვეყნის, კუთხის სამსახურში არიან. მათი მეოხებით გავიცანი აჭარის მთიანეთი. იცით, რა მხიბლავს მთიელებში? ის, რაც ქალაქს ეკარგება - მთას, მთიელს, სოფელს ჭარბად შემორჩა: სიყვარული, მასპინძლობის სხვანაირი, ძველებური მადლი. შემორჩათ ის, რომ ყველაფერს ანგარიშით არ უყურებენ. ქალაქს ეს უკვე აღარ აქვს, აქ კი ყველაფერი აღებ-მიცემობაზე ჯერ არ გადასულა. საერთაშორისო ლიტერატურულმა ფესტივალმა „ზე-კართან“, რომელსაც ვახტანგ ბერიძე კურირებს, განსაკუთრებული შესაძლებლობა მოგვცა აჭარის მთიანეთს, მის ღირსშესანიშნაობებს, მატერიალურ თუ კულტურულ ძეგლებს, აქ მცხოვრებ ადამიანებს ძირფესვიანად გავცნობოდით. კოლეგებმა ერთად სოფელ-სოფელ, კარდაკარ ჩამოვიარეთ ეს კუთხე. გოდერძის ალპურ ბაღშიც გახლდით. ისტორია, ეთნოგრაფია, კულტურა, იუმორი... ადამიანები, რომლებიც აქ ცხოვრობენ - გხიბლავენ, მომავლის იმედს გისახავენ, გადარჩენის კოდს გირთავენ და მერე ეს გადადის ლექსში, მოთხრობაში, პუბლიცისტურ წერილებში... და როცა აცნობიერებ, რომ ეს ყველაფერი შენია... შენი ქვეყანაა, შენი ხალხია - „გულღია და კარღია“, ბედნიერების განცდა არ აგვიანებს.

**- როგორ ითავისებთ აქ დავანებულ ქართულს?**

- როგორ?.. ეს სულხან-საბას ქართულია. კარგა ხანს ვფიქრობდი, რომ ზურაბ გორგილაძე აჭარულ დიალექტზე წერდა და რაც უფრო ვკითხულობდი მის ლექსებს, მეტად ვუღრმავდებოდი, ვხვდებოდი, რომ იგი თავანკარა, „დიდქართული-აჭარულით“ წერდა, როგორც ბატონმა ფრიდონ ხალვაშმა ბრძანა ბატონი ზურაბისადმი მიძღვნილ ლექსში. ზურაბის ენა სულხან-საბას ქართულია! ეს ყველაფერი ამ კუთხემ ხელუხლებელ, უცვლელ საგანძურად შემოინახა. 300 წელს ოსმალთა იმპერიის ბატონობაში ტყვედ მყოფმა ენამ კონსერვაცია განიცადა, ბევრი ისესხა, მაგრამ არაფერი დაკარგა.

**- ზვარეში ნახულის შავით თეთრზე გადატანას თუ აპირებთ?**

- მუზა უცნაური რამაა. ტრიალებს, ტრიალებს... გგონია დაგივიწყა, გაგექცა, მიიძინა... არადა, ყივჩაღივით მოულოდნელად დაგესხმება თავს, ხანდახან ძილისა და სიზმრების საუფლოშიც შემოგაკითხავს, ტვინს არ ასვენებს, ყველაზე მოუცლელ დროს იცის სტუმრობა, არ დაეძებს - გცალია, დაღლილი ხარ, გეძინება... უცებ აამოძრავებს პოეტურ სივრცეს, რომლიდანაც პატარა ლექსი, ქარიშხალი ან ქარბუქი ამოვარდება. დღეს იმდენად დიდი ემოცია მივიღე, რომ მჯერა - მესტუმრება!

**- დამოკიდებულება აქ დაბრუნებულ წინაპართა მრწამსისადმი?**

- პირდაპირ და ცალსახად ვიტყვი: ყოველმა ადამიანმა თავად უნდა გადაწყვიტოს მისი უფალთან დამოკიდებულების საკითხი. თითოეულ ჩვენგანს ჩვენ მიერ არჩეული გზა რწმენისა ჭეშმარიტად მიაჩნია. მე მრწამსით მართლმადიდებელი ვარ. მთელი არსებით ვგრძნობ და ვთვლი, რომ ქრისტიანობა სწორი გზაა. სხვათა არჩევანის განსჯისგან თავს ვიკავებ, თუმცა ერთი რამის აღნიშვნა ნამდვილად მინდა - ქართველებმა უნდა ვიცოდეთ, ვინ ვართ და საიდან მოვდივართ, წარსულისკენ თუნდაც იმიტომ უნდა მივიხედოთ, რომ ჩვენს ფესვებს ჩავწვდეთ. გავაცნობიეროთ, დღემდე რამ მოგვიყვანა და გადაგვარჩინა. ისტორიის გაკვეთილებიც გავითვალისწინოთ, მერე ყური მივუგდოთ ჩვენი კუთხის სათაყვანო შვილების შემოქმედებასა და გულის ღაღადს, საბოლოოდ კი ყველაფერს თითოეულმა ჩვენგანმა საკუთარი ჭკუა, გული და გონებაც შეუსაბამოს და პასუხს აუცილებლად მივაგნებთ. დღევანდელი დღეც ამის ნათელი დადასტურება გახლავთ.

იხ. მე-7 გვ.

# «წარსულის არდავიწყება, ღირსეული პიროვნების ღვაწლის დაფასება ყველას ვალია»

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

*სხალთა-ხიხანის ისტორიული ხეობის მკვიდრთა შორის საპატიო ადგილი უჭირავს «აჭარის ღვაწლმოსილ მუშაკთა პატივგებისა და მადლიერების საზოგადოების» თავმჯდომარეს, ემერიტუს პროფესორ* ***სერგო დუმბაძეს****. იგი «აჭარის» სტუმარია.*

**- ბატონო სერგო, საიდან წამოვიდა იდეა, რომ პატივგებისა და მადლიერების საზოგადოება დაგეფუძნებინათ, სათავეში ჩადგომოდით?**

- მისი დაარსება აწ განსვენებულ ბატონ თეიმურაზ კომახიძეს უკავშირდება. მან 1985 წელს აჭარის განათლების მუშაკთა მუზეუმი დააფუძნა, რომელიც «ბენზეს უბანში» იყო, შემდეგ ბათუმის ცენტრში გადმოიტანეს. მუზეუმს სათავეში ჩაუდგა გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატი ზურაბ კომახიძე. მუზეუმში საპატიო ადგილი ეჭირა საქართველოს და აჭარის სკოლის დამსახურებული მასწავლებლების პორტრეტებს. მათ შექმნეს აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ფარგლებში საზოგადოება, რომელიც საწყის ეტაპზე «აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის ღვაწლმოსილ მუშაკთა პატივგებისა და მადლიერების საზოგადოებად» იწოდებოდა. დამფუძნებელთა შორის მეც ვიყავი. საზოგადოება მუზეუმთან იყო დაარსებული და თავმჯდომარეობაც ზურაბ კომახიძემ ითავა, 2009 წლის შემდეგ კი, როცა ჯანმრთელობის პრობლემები შეექმნა, ხელმძღვანელობა მე გადმომაბარა. ეს ტვირთი სიამოვნებით ვიკისრე. ჩემივე წინადადებით, მას «აჭარის ღვაწლმოსილ მუშაკთა პატივგებისა და მადლიერების საზოგადოება» ვუწოდეთ. მუნიციპალიტეტში ავირჩიეთ კოორდინატორები, რომლებიც მუშაობენ სკოლებთან, სხვა ორგანიზაციადაწესებულებებთან ღვაწლმოსილი ადამიანების წარმოსაჩენად, რომელთა ასაკი 50 წელზე მეტია. ასეთი საზოგადოება ერთადერთია საქართველოში. ჩვენ საქმიანი ურთიერთობები გვაქვს საქართველოს პედაგოგთა კავშირის აჭარის ორგანიზაციასთან (თავმჯდომარე აკაკი ზოიძე). ერთობლივი ძალებით 150-ზე მეტ ღვაწლმოსილი პიროვნებას იუბილე გავუმართეთ, მათ შორის ვახტანგ წულუკიძეს, არჩილ ტაკიძეს, იური უნგიაძეს, ვახტანგ შამილაძეს, თამაზ ცინცაძეს, სერგო ჯაიანს, ვახტანგ მაკარაძეს. 12 სკოლის საიუბილეო ღონისძიებაში მონაწილეობა მივიღეთ. საზოგადოებამ ჩაატარა 4 სამეცნიერო კონფერენცია, 10-მდე წიგნის წარდგინება-განხილვა.

**- თანახეობელების წარმოჩენასთან ერთად, იმათი სახელიც გამოამზეურეთ, ვინც ერთ დროს ჩრდილში იყო.**

- ჩვენი რეკომენდაციის საფუძველზე, დიდი და ისტორიული პიროვნების - აბუსერისძე ტბელის სახელი მიენიჭა მისივე სოფელში არსებულ ქვედა თხილვანის საშუალო სკოლას. სამწუხაროდ, ალექსანდრე ლომაიას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრად ყოფნის წლებში მიიღეს «თავისუფლების ქარტია» და მის საფუძველზე სკოლებს სახელი მოუხსნეს. ჩვენი ძალისხმევით თხილვანის (ზედა თხილვანა) სკოლის აღდგენის 100 წლის იუბილეზე სკოლებს სახელობითი წოდებები დავუბრუნეთ. ჩემი, ნიკოლოზ დუმბაძისა და შოთა ბოლქვაძის თანაავტორობით გამოვეცით წიგნი «ასწლოვანი სკოლა აბუსერისძეთა ნაფუძარზე». ჩემი მშობლიური სოფლის, ბაკოს სკოლის აღდგენის 80 წლის იუბილე რომ გავმართეთ, მას სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გმირის სელიმ ხიმშიაშვილის, ხოლო მთისუბნის საჯარო სკოლას - მისი შვილიშვილის შერიფ ხიმშიაშვილის სახელი მივანიჭეთ. ხიხაძირის ღირსეული მკვიდრის, ხეობაში პირველი უმაღლესდამთავრებულის სერგო ჯაიანის სახელი მიენიჭა ხიხაძირის სკოლას. განათლების სისტემის ამაგდარის დიმიტრი ხოზრევანიძის სახელობის გახდა მისი



მშობლიური სოფელ კვატიის სკოლა. ეს პროცესი ისევ გრძელდება.

**- თეიმურაზ კომახიძის, რამაზ სურმანიძის, თვითმმართველობის მაშინდელი ხელმძღვანელობის თანადგომით, ბაკოში სახალხო დღესასწაული «სელიმობა» წამოიწყეთ. მშობლიური სოფლის წარსულსა და დღესასწაულის მნიშვნელობაზე რას იტყვით?**

- სელიმ ხიმშიაშვილის დაბადებიდან 250 და თავგანწირვიდან 190 წლისთავთან დაკავშირებით ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის კათედრაზე რამდენიმე ღონისძიება გაიმართა, რომელთა ერთ-ერთი ინიციატორი მეც ვიყავი. ჩვენს წამოწყებას ბაკოელი ახალგაზრდები გამოეხმაურნენ. აქაურ სერგო მიქელაძის ინიციატივით, 2005 წლის დეკემბერში ბაკოში მიმიწვიეს. იქაური ახალგაზრდების ინიციატივა იყო, წამოგვეწყო სახალხო დღესასწაული «სელიმობა», რომელიც 2006 წლის 3 ივნისს ბაკოში ჩავატარეთ, ხოლო 2007 წლის ივნისში ეს წამოწყება სოფელ ნიგაზეულმა აიტაცა. ჟურნალმა «ჭოროხმა» 2005 წლის მეათე ნომერი თითქმის მთლიანად მიუძღვნა სელიმის საგმირო საქმეებს. 2008 წელს ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში საერთაშორისო კონფერენცია ჩავატარეთ თემაზე «სელიმ ხიმშიაშვილი - საქართველოს ეროვნული გმირი» - იმავე დღეს ბათუმში მისი სახელობის ქუჩაზე, სკვერში, საზეიმო ვითარებაში ფარდა ჩამოვხსენით სელიმ ხიმშიაშვილის ბიუსტს. მეორე დღეს ბაკოში აკადემიკოს როინ მეტრეველის თანდასწრებით «სელიმობა» ვიზეიმეთ. ჩემი მიზანი იყო, რაც არაერთხელ გავახმიანე, შიგანას ერთ-ერთ უბანში, მერეში, დიდი კაკლის ძირში, სადაც სელიმ ხიმშიაშვილი პირველად დაკრძალეს, მემორიალის გაკეთება, რაც უცხოელი და ადგილობრივი ვიზიტიორებისთვის საინტერესო და მიმზიდველი ადგილი იქნებოდა. ჩემს მიზანს ხულოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ მხარი აუბა.

**- ბაკოში - საიდან დუმბაძეები?**

- აბუსერისძე ტბელის თხზულებებში ცხმორისი და ბაკო მაშინდელი სახელწოდებითაა მოხსენიებული, ახლანდელი თხილვანა - «შუარტყლის» სახელით. 1998 წელს ვლადიმერ მამულაძესთან ერთად დავწერეთ წიგნი «ხიხანის საარწივოდან», რომელიც თხილვანის მკვიდრის, საზოგადო მოღვაწის დავით მამულაძის ხსოვნას ეძღვნება. წინა საუკუნის 60-იან წლებში ვმუშაობდი ქვედა თხილვანის 7-წლიანი სკოლის დირექტორად. დავით მამულაძე ამ სოფლის მკვიდრი იყო. წიგნში ტოპონიმი «შუარტყალის» განმარტებაცაა, რაც მოიწონა აჭარის ისტორიის პატრიარქმა, პროფესორმა იური სიხარულიძემ. ბატონი იური ჭეშმარიტი და დიდსულოვანი ისტორიკოსი იყო. რაც შეეხება ბაკოს, ეს ტოპონიმი უკავშირდება აბრეშუმის დიდ გზას, რომელიც გაკეთდა ძველი წელთაღრიცხვის V - III საუკუნეებში. სოფელი ისტორიულია და XIII საუკუნემდე მისი სახელწოდება «ბაკი-ბაკო» ყოფილა. აბრეშუმის გზის დანიშნულება იყო ქარავნის გატარება ჩინეთიდან ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებისკენ საქართველოზე გავლით. ყოველი ერთი დღის სავალზე გაკეთებული იყო პირუტყვისა და მექარავნეების მოსაცდელი. მას «ფუნდუკები» ეწოდებოდა. ერთ-ერთი «ფუნდუკი» ბაკოც ყოფილა. მექარავნეებისთვის სასტუმროს აკეთებდნენ ანუ «ბაკოს». ამიტომ სოფელს შეერქვა სახელი ბაკი-ბაკო. იგი აბუსერისძეთა საგვარეულო მამულის საყრდენი სოფელი იყო. აქაური სათიბ-საძოვრები საუკეთესო პირობებს ქმნის მეცხოველეობის განვითარებისთვის. აბუსერისძეებს ცხენი, ძროხა, ცხვარი მრავლად ჰყოლიათ, რომლებსაც ბაკოელები უვლიდნენ. გარდა ამისა, ხიხანის მეციხოვნეებსაც მეცხოველეობის პროდუქტებით ეს სოფელი ამარაგებდა. ესაა სოფლის მოკლე ისტორია. რაც შეეხება გვარ დუმბაძეებს, იგი სოფელში ყველაზე მრავალრიცხოვანია. ისტორიულ წყაროებს თუ ვერწმუნებით, ეს გვარი ბაკოში მე-17 საუკუნიდან ჩნდება. დუმბაძეების წინაპარი ღვთისმსახური ყოფილა, სახელად დუმბა. ეკლესიაში მისი მოვალეობა საკმევლის ტარება ყოფილა. მისი შთამომავლები დუმბაძედ იწოდებოდნენ, რასაც თავის ნაშრომში ამყარებს პროფესორი თამაზ დუმბაძე. ბაბუაჩემი ჰაიდარ დუმბაძე 1947 წელს გარდაიცვალა, 110 წლის ასაკში. ის ხშირად გვახსენებდა, რომ დუმბაძეები აქ არსაიდან მოვსულვართ და მიქელაძეების, ჯაბნიძეების მსგავსად, ძირძველი გვარის შთამომავლები ვართ.

**- მრავალგზის მიანიშნეთ ღირსეულ მამულიშვილებზე, ისტორიულ ხიხანის ციხეზე, რომლის რესტავრაცია-კონსერვაცია, მისასვლელი გზა-ბილიკის მოწყობა მიმდინარეობს. დანარჩენი ისტორიული ძეგლები რომ მისახედია, ამაზე რას გვეტყვით?**

- ამ პრობლემების მოგვარებისთვის, პირველ რიგში, ადგილობრივი მოსახლეობის აქტიურობა და ხელისუფლების თანადგომაა საჭირო. მატერიალური თუ სოციალური კულტურის (ვარდციხე, ციხიყელი, თიკანაურის, ვერნების, კალოთის ეკლესიების ნაშთები) ძეგლების რესტავრაცია-კონსერვაცია გადაუდებელი აუცილებლობაა. ეს ჩვენი წარსულია, რომელიც თაობებმა ჩვენამდე მოიტანეს. ჩვენი ვალია, ისინი შევინარჩუნოთ და მომავალ თაობებს გადავცეთ. უპატივცემულობა, კიდევ მეტი, უარყოფა, მათ მოვლა-პატრონობაზე ხელის ჩაქნევა თვითმკვლელობის ტოლფასად მიმაჩნია.

**- თქვენი აქტიურობით ჩრდილში აღარაა აჭარის რეგიონის მაშინდელი პირველი პირის დავით მამულაძის საქმიანობა და დამსახურება რეგიონისა და ქვეყნის წინაშე. საზოგადოებამ ძალიან ცოტა იცის ზექერია ლორთქიფანიძის საქმიანობაზე, მის დამსახურებაზე აჭარის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. ის რეპრესიების მსხვერპლი იყო. ამ მიმართებით რა ჩანაფიქრი გაქვთ?**

- მართალი ბრძანდებით, დავით მამულაძე ნამდვილად ჩრდილში იყო. მას ზოგიერთები პარტიული კუთვნილებით აფასებენ, რაც სიბეცეა. იგი სახელმწიფოებრივად მოაზროვნე სამშობლოსთვის თავდადებული, მშობლიური კუთხის მოსიყვარულე პიროვნება იყო. მან ხრუშჩოვის მმართველობის პერიოდში ბევრი ისეთი საქმე გააკეთა, რაც ზოგიერთ პარტიულ ფუნქციონერს ხელს არ აძლევდა. ვლადიმერ მამულაძესთან ერთად დავაფუძნეთ დავით მამულაძის საქველმოქმედო საზოგადოება «მოამაგე», რომლის ეგიდით მისი მემუარები გამოიცა, ასევე, - ზემოთ ხსენებული წიგნი «ხიხანის საარწივოდან». ბათუმის საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარის სულიკო თებიძის დამსახურებაა, რომ ბათუმში გვაქვს დავით მამულაძის ქუჩა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის თორნიკე რიჟვაძის მონაწილეობით, ქუჩისთვის სახელის მინიჭებას ოფიციალური ცერემონია მიეძღვნა. მე, როგორც საზოგადოების თავმჯდომარე, ვსარგებლობ თქვენი გაზეთით და ყველას მადლობას ვუხდი ამ ღირსეული მამულიშვილის სახელის უკვდავყოფისთვის. იმასაც გეტყვით, რომ ბოლო დროს გაზეთი «აჭარა» ღირსეული მამულიშვილების წარმოჩენას, მათი საქმეების გამომზეურებას აქტიურად ეხმიანება, რაც მისასალმებელია, «აჭარის ღვაწლმოსილ მუშაკთა პატივგებისა და მადლიერების საზოგადოება» აგრძელებს თავის საპატიო საქმიანობას. ამჯერად სტეფანე ქემხაძის როლის გამომზეურებას, მისი ამაგის დაფასებას ვცდილობთ. მან ათეულობით ადამიანი ჩამოხრჩობას გადაარჩინა. ამ ეტაპზე, სტეფანე ქემხაძის ბიუსტის დადგმა მიგვაჩნია მიზანშეწონილად შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ფურტიოს ელვაურის უბანში. ყურადღების მიღმა არ გვინდა დავტოვოთ ზექერია ლორთქიფანიძის, ლევან დავითაძის, რიზა ხოზრევანიძის საქმიანობა, მათი დამსახურება ქვეყნისა და მშობლიური კუთხის წინაშე. ისინი აჭარის მთიანეთის მკვიდრები იყვნენ. მათ საცხოვრებელ სახლებზე მემორიალური დაფებიც არაა გაკეთებული. ვფიქრობთ, ამ ეტაპზე, მიმანიშნებელი წარწერები მაინც გააკეთონ თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელებმა. წარსულის არდავიწყება, ღირსეული პიროვნებების ღვაწლის დაფასება ყველას ვალია.

**- დიდ საქმეებთან ერთად, მშობლიურ სოფელს ყურადღებასა და თანადგომას არ აკლებთ. ამ ეტაპზე, რა აქტივობები გაქვთ ჩაფიქრებული?**

- ჩვენი წამოწყებით, ბაკოს საჯარო სკოლას სელიმ ხიმშიაშვილის სახელი მიენიჭა. აქტიურობას ვერ დავუკარგავთ ნიკოლოზ დუმბაძეს, სერგო მიქელაძეს. ამ ეტაპზე, თანადგომას ველოდებით ხულოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობისგან. ბაკო და მთისუბანი ხულოს ადმინისტრაციული ცენტრიდან ყველაზე მოშორებული სოფლებია. ორივე სოფელი ხიმშიაშვილების გვართან კავშირშია. ერთგან სელიმ ხიმშიაშვილი ოსმალებმა სიცოცხლეს გამოასალმეს. სერიყანა საუკეთესო ტურისტულ ლოკაციად იქცა. აქ გაკეთებული მემორიალი ყველასათვის საინტერესოა. მთისუბანში, კერძოდ ქოჩახში განისვენებენ აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების აქტიური მებრძოლი შერიფ ხიმშიაშვილი და დედამისი დუდი-ხანუმ ბეჟანიძე. ბაკო ქართველ ეთნოლოგთა შეფასებით, დაბის ტიპის დასახლებაა. კარგია, როცა სოფელში თანამედროვე სტანდარტების შესაფერისი სკოლის შენობა გვაქვს, მაგრამ სოფელში აღარაა კლუბის, ბიბლიოთეკის, საზოგადოებრივი თავშეყრის, ანუ როგორც ახლა უწოდებენ «სოფლის სახლის» შენობები. სერიყანაში, სადაც სელიმის მემორიალია, თავისუფლად შეიძლება შენობის აგება, რომელსაც მუზეუმად, «სოფლის სახლად» ან სხვა დანიშნულებით გამოვიყენებთ. ბაკოს ქოჩახისა და მთისუბნისგან მდინარე ქოჩახისწყალი ყოფს. მთათა ქანების მოშლისა და სისტემატური წყალმოვარდნების, დიდი რაოდენობის ნატანის წამოღების შედეგად, მდინარე კალაპოტს აღრმავებს. ადრე ამ ტერიტორიებს გზა აკავშირებდა, რომელზეც ხარებშებმული მარხილით შეშა, თივა გადაჰქონდათ. ახლა ის მოშლილია. ადამიანები სერიყანაში, ბაკოში რომ მოდიან, მთისუბანსა და ქოჩახში მისვლას არ ივიწყებენ. ხიდი მათ უმოკლესი მანძილით დააკავშირებს. შემოვლითი გზა 5 კილომეტრამდეა.

**- ხეობაში დაწყებულია კალოთის ეკლესიის რესტავრაცია. აქ რამდენიმე მართლმადიდებლური ტაძრის ნანგრევებიცაა შემორჩენილი. მათი რესტავრაცია-კონსერვაცია როგორ გესახებათ?**

- ჯერ კიდევ შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისა და აბუსერისძე ტბელის იუბილესთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობამ მიიღო რამდენიმე ისტორიული ძეგლისა და საკულტო ნაგებობების რესტავრაციის დადგენილება. ამ დადგენილებით დაბა ხულოში სახალხო აკადემიის დაარსება იყო გათვალისწინებული. ამ ეტაპზე, ხულოში სახალხო აკადემიის დაარსება დიდად წაადგება არა მარტო ამ რეგიონს, არამედ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს. არავინ წერს და საუბრობს კვატიაში, სოფელ წაბლანის მიმდებარე ტერიტორიებზე, ბეღლეთ-დანისპარაულის, ღორჯომის ხეობებში, გარდა დიდაჭარისა, არსებული ეკლესიების ნაშთებზე. მათი რესტავრაცია-კონსერვაცია დროული საქმეა, რასაც დიდ ყურადღებას უფმობენ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II და სხალთის ეპარქიის მთავარეპისკოპოსი მეუფე სპირიდონი. მიზანშეწონილად მივიჩნევთ სხალთა-ხიხანის ხეობაში არქეოლოგიური კვლევების გამრავალფეროვნებას. თავის დროზე დიდი სამუშაოები ჩაატარეს პროფესორებმა ამირან კახიძემ, შოთა მამულაძემ. მათი საქმეები ახალგაზრდებმა უნდა გააგრძელონ.

**- მრავალი წიგნის ავტორი ხართ. ახლა რაზე მუშაობთ?**

- 20 წიგნის ავტორი ვმუშაობ წიგნზე «შემოქმედებითი ინტელიგენცია ხულოდან», შემდეგი წიგნის პირობითი სახელი «მწიგნობარნი» იქნება. მათ გამოცემას წელს ვაპირებდით, მაგრამ ობიექტური მიზეზების გამო, გადავადდა. სოფელ ბაკოს ისტორიაზეც მაქვს ნაფიქრი.

**- წუთისოფელში აღარაა ცნობილი ბიზნესმენი და ქველმოქმედი ავთანდილ ბარათაშვილი. მისი და სხვა ბიზნესმენების საქმიანობას ხეობის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში როგორ აფასებთ?**

- ავთანდილ ბარათაშვილის ქველმოქმედება მთელ ხეობას სწვდებოდა. მას პირადად არ ვიცნობდი, სამაგიეროდ, მშობლებთან, ძმებთან ახლოს ვარ. იგი ეროვნული, პატრიოტი და ხელგაშლილი ბიზნესმენი იყო. ხეობის მკვიდრნი სხვა ბიზნესმენების ამაგსაც ვაფასებთ, ისინი აშენებენ, ამშვენებენ სოფლებს, ქველმოქმედებას ეწევიან, განსაკუთრებით დიდია მათი წვლილი ნიჭიერი ახალგაზრდების სწავლა-განათლებაში. სპონსორობა მადლიანი საქმეა. ჩემს წიგნში ბიზნესმენების დამსახურებაზეც იქნება მინიშნებული.

**- ტურიზმზე მიანიშნეთ. კონკრეტულად რას მიიჩნევთ უპირველეს საქმედ?**

- გზების მოწესრიგებას, წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების მშენებლობას, სხალთისა და მარეთის ხეობების დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეკონსტრუქციას, ოჯახური სასტუმროების ქსელის გაფართოებას, რაშიც ქვეყნის ხელისუფლების დიდი თანადგომა ჩანს. მისაბაძად მიმაჩნია ბაკოელი მერაბ დუმბაძის მუშაობა. მან მთაში, ტიალისერზე ტურისტული ობიექტი მოაწყო. უკვე ტურისტებიც ბლომად მიდიან. ასეთი ობიექტები სოფელში და მთაში მრავალი შეიძლება გვქონდეს.

**- საუბარში მრავალი წამოწყება ახსენეთ, მათ შორის, რას მიიჩნევთ უმთავრესად?**

- ხიხაძირში, კულტურის სახლის ეზოში საყოველთაოდ აღიარებული ხიხაძირელი ქორეოგრაფის, აჭარის კულტურის დამსახურებული მუშაკის თენგიზ (თოფუზ) გაბაიძის ბიუსტის დადგმას ვაპირებ, რაშიც გაბაიძეთა საგვარეულო კავშირი მეხმარება.

**- როგორია რეგიონის და ადგილობრივი ხელმძღვანელობის დახმარება?**

- საქმიანი. როგორც რეგიონის, ასევე ხულოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები საღ, ეროვნულ, კუთხის, თითოეული პიროვნების ინტერესებზე, წარმოჩენაზე გათვლილ წინადადებებს ითვალისწინებენ. ამ ეტაპზე, სტეფანე ქემხაძის ბიუსტის დადგმაზე მათგან მხარდაჭერას ველოდებით.

იხ. მე-7 გვ.

# «წარსულის არდავიწყება, ღირსეული პიროვნების ღვაწლის დაფასება ყველას ვალია»

მე-6 გვერდიდან

**- აჭარაში სამუშაოდ მოვლინებული პედაგოგების, ექიმების, ეროვნული მეურნეობის სხვა დარგების სპეციალისტთა წარმოსაჩენად მემორიალის გაკეთების იდეა მიჩუმათდა თუ...**

- ეს იდეა აწ განსვენებულ ვახტანგ მაკარაძეს ეკუთვნის და ჩვენი საზოგადოებაც მხარს უჭერს. მე ერთიანი მემორიალის ბათუმში გაკეთება უპრიანად მიმაჩნია. ჩვენი დათვლით, 2500 პედაგოგი იყო მოვლინებული აჭარის სოფლებსა და ქალაქებში 1881-1950 წლებში. ჩვენს წინადადებას მოწინააღმდეგენიც გამოუჩნდნენ, ამასობაში პანდემიამაც მოგვისწრო, თუმცა საკითხი დღის წესრიგიდან არ მოხსნილა.

**- მოწინააღმდეგეები ახსენეთ...**

- კარგ საქმეებს ცუდი ადამიანები მტრობენ. წინააღმდეგობა წამოვიდა, მაგალითად, როცა ხიხაძირის სკოლას სერგო ჯაიანის სახელი მივაკუთვნეთ, როცა «სელიმობა» ბაკოელებმა წამოვიწყეთ. ჩვენი მიზანი ეროვნული, კუთხის ინტერესებზე მორგებული საქმეების გამომზეურება და საზოგადოებისთვის დატოვებაა, ამ გზაზე მოწინააღმდეგეებსაც საკადრის პასუხს ვცემთ.

ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი“ აცხადებს

## კონკურსს

**შემდეგ აკადემიურ თანამდებობებზე დასაკავებლად:**

ა) **აგრარულ მეცნიერებათა მიმართულებით** - პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე - 3 საშტატო ერთეული და ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე - 3 საშტატო ერთეული;

ბ) **სამართალმცოდნეობის მიმართულებით** - პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე - 3 საშტატო ერთეული, ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე - 3 საშტატო ერთეული და ასისტენტის აკადემიურ თანამდებობაზე - 6 საშტატო ერთეული;

გ) **საჯარო მმართველობის მიმართულებით** - პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე - 2 საშტატო ერთეული და ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე - 2 საშტატო ერთეული;

დ) **მათემატიკის მიმართულებით** - პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე - 2 საშტატო ერთეული და ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე - 2 საშტატო ერთეული;

ე) **განათლების მიმართულებით** - პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე - 2 საშტატო ერთეული და ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე - 2 საშტატო ერთეული;

ვ) **ჟურნალისტიკის მიმართულებით** - ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე - 2 საშტატო ერთეული და ასისტენტის აკადემიურ თანამდებობაზე - 2 საშტატო ერთეული;

ზ) **ხელოვნებათმცოდნეობის მიმართულებით** - პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე - 2 საშტატო ერთეული, ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე - 2 საშტატო ერთეული და ასისტენტის აკადემიურ თანამდებობაზე - 2 საშტატო ერთეული;

თ) **ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით** - პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე - 4 საშტატო ერთეული, ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე - 3 საშტატო ერთეული და ასისტენტის აკადემიურ თანამდებობაზე - 2 საშტატო ერთეული.

**განცხადებების მიღების და კონკურსის ჩატარების ვადები განისაზღვროს შემდეგნაირად:**

ა) განცხადებები მიიღება უნივერსიტეტის კანცელარიაში 2022 წლის 1 დეკემბრიდან 5 დეკემბრის ჩათვლით, ყოველდღე, 10:00 საათიდან 17:00 საათამდე;

ბ) კონკურსი ჩატარდება 2022 წლის 8 დეკემბრიდან 12 დეკემბრის ჩათვლით. კონკურსის შედეგები გამოქვეყნდება არაუგვიანეს 2022 წლის 15 დეკემბრისა უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: www.tbeli.ge.

**კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:**

ა) განცხადება;

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობა (დედანი და ქსეროასლი);

გ) CV;

დ) სანოტარო წესით დამოწმებული უმაღლესი განათლებისა და შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი;

ე) პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობის გამოცდილების (სტაჟის) დამადასტურებელი დოკუმენტი;

ვ) 2 ცალი ფოტოსურათი - 3X4-ზე;

ზ) ბოლო 10 წელიწადში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების სია;

თ) ბოლო 10 წლის განმავლობაში იმ სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის ჩამონათვალი, რომლებშიც მიიღო აპლიკანტმა მონაწილეობა (კონფერენციის დასახელების, ჩატარების ადგილის, თარიღის და წაკითხული მოხსენების მითითებით).

კონკურსში მონაწილე პირმა წინასწარ უნდა დაადასტუროს წერილობითი სახით (თანხმობის ფორმა ივსება კანცელარიაში), რომ გამარჯვების შემთხვევაში იქნება აფილირებული ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში“ რექტორის მიერ დამტკიცებული „აკადემიური პერსონალის აფილირების წესის“ შესაბამისად.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის/ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელია კონკურსანტი.

# „აქ საქართველოს უმღერენ...“

მე-5 გვერდიდან

**ყვავილობს ჯიში ქართული**

**ეძღვნებათ შუახეველებს**

*ჩამოივლიან ქარები, ჩამოფარცხავენ კაპანებს,*
*არადა, რა ენაღვლებათ, საითაც უნდათ - მიდიან!*
*დრო ყურწაგდებულთ არ ინდობს, აცეტებულთაც*
*ანანებს,*
*არავინ შეგეკითხება, შენს სულში რა ამინდია.*
*ყელში გაჩრილი ტკივილი, ვიცი, ჩაივლის ძვლებამდე*
*და შენი ცრემლის მარცვალიც არ გაიბნევა გზა-შარად,*
*სიცოცხლე თუნდაც იმად ღირს, რომ ამბოხებას*
*ბედავდე,*
*ეჭვებმა თუკი მოგგუდა, დილის ნისლივით აგშალა.*
*აქ, სადაც ყოველ ციხეზე წარსულის ნაკვალევია,*
*სისხლში და ცრემლში მოზელილ ტკივილებს რაღა*
*წაგიშლის,*
*ველარ ეშვები წინაპართ ნაფუძარებზე ხეტიალს,*
*ქონგურზე შემორჩენილა ძველი ჩუქურთმის ნაყიშლი.*
*გულო, ასე რად აჩქარდი, გულო, ასე რამ გაგჭვალა,*
*აზრი ხომ არსით შეცვლია, შენს სათაყვანო აჭარას,*
*შენი შვილების კერიას, მათ წინაპართა საძვალეს,*
*უცხოტომელთა ფეხის ხმა, რად ჰზარავს, კვლავ რად*
*აწვალებს.*
*ჩემო მთავ, დედაბოძი ხარ, იმედით გიმზერს ქვეყანა,*
*რა ქარმა არ დაგიქროლა, ვერ შეგიცვალა იერი,*
*ოთოლთას ციხის კალთებზე, მტრის გულის*
*დასამეხავად,*
*გუგუნებს „მუმლი მუხასა“, გალობა - მრავალხმიერი...*
*აქ საქართველოს უმღერენ, ცეკვავენ „განდაგანურსა“,*
*ღირსეულ შვილებს უზრდიან ოჯახს, გვარსაც და*
*მამულსაც,*
*ვერ მოსწრებოდეს ვერც შინა, ვერც გარეული იუდა,*
*მოშალოს სული ქართული, რადგანაც ისევ ჯიუტად...*
*ოქროპილაურს, ოთოლთას, ცინარეთსა და ფურტიოს*
*ყვავილობს ჯიში ქართული, სიმღერით რომ შეუტიოს*
*ხმა-აკვნესებულ თარსა და კრინით აღებულ*
*ნოტებსაც...*
*მთიელი კაცის გულისთქმა იმნაირ ძალით მოლესავს,*
*ტაძრის ფუძეში ჩაგდების ყინი აწვალებთ ლოდებსაც.*
*მთის კაბა-კალთით მიყრილებს, მდინარით*
*ნაბანავებსაც,*
*გალობის სული ჩაუდგამთ ჭვანის ხეობის ქარებსაც.*
*მერე ზამლეთით, მარეთით, ნიგაზეულის ნიგვზებით,*
*ვით დედოფალი - ფატათი, შენი იმედით ვირთვები,*
*მჯერა, ხიხანის ციხეზე კვლავ დაიყივლებს არწივი,*
*რომ მომავალი გმირების აკვნები გადაარწიოს,*
*აღმართოს თამარის დროშა და მომავლისკენ გასწიოს!*

**7.10.2013 წელი**

# დაბალ და მაღალანაზღაურებადი თანამდებობები – საქართველოში

გუშინ სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა გამოაქვეყნა შარშანდელი მონაცემები - დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი დაკავებული თანამდებობების/პოზიციების მიხედვით.

„საქსტატის“ ცნობით, დაკავებული თანამდებობების/პოზიციების მიხედვით, დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მენეჯერების პოზიციაზე გამოვლინდა და 2 414,7 ლარი შეადგინა, ხოლო საშუალო ხელფასის ყველაზე დაბალი მოცულობა - 674,1 ლარი, არაკვალიფიციური მუშაკების პოზიციაზე დაფიქსირდა.



უფრო კონკრეტულად, საშუალო თვიური ხელფასი დაკავებული პოზიციების მიხედვით, ასე გამოიყურება:

მენეჯერები - 2 414,7 ლარი;

სპეციალისტი-პროფესიონალები - 1333,7 ლარი;

ტექნიკოსები და დამხმარე სპეციალისტები - 1193,7 ლარი;

ხელოსნები და მონათესავე სფეროების მუშები - 1178,6 ლარი;

ოფისის დამხმარე პერსონალი - 1144,6 ლარი;

დანადგარებისა და მოწყობილობების ოპერატორები და ამწყობები - 1112,1 ლარი;

მომსახურებებისა და გაყიდვების სფეროებში დასაქმებული პირები - 911,6 ლარი;

სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის კვალიფიციური მუშაკები - 791,5 ლარი;

არაკვალიფიციური მუშაკები - 674,1 ლარი.

**ამირან გურიელიძე**

**ხსოვნა**

# ლომან (თამაზ) ბერიძე



გარდაიცვალა სამართალდამცავი სტრუქტურების ღვაწლმოსილი მუშაკი, თადარგის პოლკოვნიკი ლომან (თამაზ) შაქირის ძე ბერიძე.

დაიბადა 1947 წელს ხულოს (ახლანდელი შუახევის) რაიონის სოფელ წაბლანაში. უჩამბის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტი გახდა. დაუსწრებელ განყოფილებაზე სწავლას აქტიურად უთავსებდა საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას. წლების განმავლობაში შუახევის რაიონული ბანკის ეკონომისტად იმუშავა. 1974 წლიდან შუახევის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების სოციალისტური საკუთრების დაცვისა და სპეკულაციასთან ბრძოლის ინსპექტორად დააწინაურეს. ამ თანამდებობაზე 1983 წლამდე იმუშავა. სხვადასხვა წლებში ეკავა უფროსი ინსტრუქტორის, განყოფილების უფროსის მოადგილის, განყოფილების უფროსის თანამდებობები. მისი საზრიანი, ოპერატიული, შორსგამიზნული საქმიანობის შედეგი იყო ის მოწესრიგებული კრიმინოგენური მდგომარეობა, რაც იყო შუახევის მუნიციპალიტეტში გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან მოყოლებული და, ასევე ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში. მისთვის ადამიანი და მისი ღირსება, ნორმალური მოქალაქეობრივი პოზიცია უპირველესი მოწოდება გახლდათ. ლომან ბერიძე ხელმძღვანელებს შორის გამონაკლისი იყო, რომელიც ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს მხარს უბამდა. გამოირჩეოდა გაწონასწორებული პოზიციით, სამართლიანობით, დამნაშავეობასთან, კრიმინალურ ავტორიტეტებთან მუშაობის სტილით.

დამსახურებულ პენსიაზე გასვლის შემდეგ ისევ სამუშაოდ უხმეს. რამდენიმე წლის განმავლობაში შუახევის მუნიციპალიტეტის სამხედრო გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურს ხელმძღვანელობდა, სადაც ერთხელ კიდევ წარმოჩნდა მინდობილი საქმისადმი მისი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება. სამსახური ჯანმრთელობის მდგომარეობის შერყევის გამო პირადი განცხადების საფუძველზე დატოვა.

ახლობელი, მეგობარი, მეზობელი ლომან (თამაზ) ბერიძისთვის უმთავრესი იყო. მძიმე ფიზიკური მდგომარეობის მიუხედავად, ცდილობდა ყველას მოფერებოდა, სითბო და სიყვარული გაენაწილებინა.

მრავალწლიანი ნაყოფიერი და კეთილსინდისიერი შრომა არაერთი სამთავრობო და სამსახურებრივი ჯილდოთი დაუფასეს, მინიჭებული ჰქონდა «საპატიო შუახეველის» წოდება.

წავიდა ჩვენგან ვალმოხდილი პიროვნება, რომელმაც მთელი შეგნებული ცხოვრება ქვეყნის სამსახურს შეალია. მისი საქმე და სახელი საუკეთესო მაგალითია მომავალი თაობებისთვის. მეგობრებს გული გვწყდება, რომ ამიერიდან მისი დინჯი, გაწონასწორებული ხასიათი, მართალი სიტყვა, სიყვარული დაგვაკლდება.

უფალმა ნათელი დაუმკვიდროს.

**მეგობრების ჯგუფი**

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ა
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 31/10/22, 21 50 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

# პოეზიით „მოწამლული“ გოგო

ნანა აბულაძე 577 20 35 90

*მიუხედავად იმისა, რომ არაერთ ფილმსა და სპექტაკლში აქვს მონაწილეობა მიღებული, ადამიანებს მის მიერ წაკითხული ლექსები ყველაზე მეტად უყვართ - თითოეული ფრაზა ემოციებით აღსავსე სამყაროში გვამოგზაურებს. ბავშვობიდან განსხვავებული ენერგეტიკის გოგოს ურჩიეს, სამსახიობოზე ჩაებარებინა. ასეც მოიქცა და მიაჩნია, რომ არის იქ, სადაც აუცილებლად უნდა ყოფილიყო. ბედნიერია, როცა ცნობენ და სითბოს ჩუქნიან. ამბობს, რომ თითოეული ადამიანის მისიაა, იცხოვროს ისე, რომ შეძლოს დაიმსახუროს გარშემომყოფთა ნდობა და სიყვარული. გაზეთ „აჭარასთან“ პროფესიაზე, ლექსის ძალასა და ბათუმთან ურთიერთობაზე აჭარის დრამატული თეატრის მსახიობმა* ***მაკა შალიკაშვილმა*** *ისაუბრა.*

**- ბავშვობაზე მოგვიყევით...**

- ბებიასა და პაპასთან ვიზრდებოდი, მათ ოთახში მეძინა სულ. მახსოვს, ჩემთვის ამ ორ უძვირფასეს ადამიანს როგორ ვყავდი მაგიდაზე შემოსკუპებული, როგორ მირჩევდნენ მზესუმზირას, მილაგებდნენ პატარა თეფშზე და როგორი სიამოვნებით შევექცეოდი. ხშირად თვალწინ მიდგას და ვმოგზაურობ ტკბილ ბავშვობაში, სადაც ძვირფასი ადამიანები ცოცხალი მყავდნენ. ბავშვობიდანვე იყო მთავარი ინტერესი პოეზია, ეზოში დავდგებოდი ხოლმე და ხმამაღლა ვკითხულობდი ლექსებს, მეზობლების და გამვლელ-გამომვლელებისგან კი აპლოდისმენტებს ვიღებდი და ძალიან ბედნიერი ვიყავი ამით. მამაჩემი მატყობდა, რომ ჩემი ქცევებით, მოთხოვნილებებით, ინტერესებით, ჩაცმულობის სტილით განსხვავებული ვიყავი, ამიტომ თავის მეგობარს, ბატონ გივი ბერიკაშვილს რჩევა სთხოვა, რა პროფესია აერჩიათ ჩემთვის. გივი ძიამ შესთავაზა, რომ მის მეუღლესთან მივეყვანე, ქალბატონ ლეილა კაპანაძესთან, რომელიც მეტყველების პედაგოგი იყო. მართლაც, მიმიყვანეს ქალბატონ ლეილასთან, სადაც განისაზღვრა ჩემი ბედი, კერძოდ ის, რომ ჩავაბარებდი თეატრალურ უნივერსიტეტში. ასე დაიწყო ჩემი კავშირი თეატრთან და მუდმივი ზრდა, როგორც მსახიობის, დღემდე გრძელდება.

**- ალბათ განსაკუთრებით გაგიმართლათ, რადგან მოგიწიათ ბუმბერაზი მსახიობების გვერდით დგომა სცენასა თუ კინოში...**

- ნამდვილად გამიმართლა და ბედნიერი ვარ ამით. იყო დრო, როცა მათთან გატარებული თითოეული წუთით თავს ვიწონებდი, მეამაყებოდა, რომ მათთან ერთად ვიდექი გადასაღებ მოედანზე, მაგრამ დროთა განმავლობაში ეს ყველაფერი უდიდეს პასუხისმგებლობად იქცა. ახლა, ამ გადმოსახედიდან უფრო მეტად ვგრძნობ, რამხელა ბედნიერებაა, ეს ეპიზოდები რომ არსებობდა ჩემს ცხოვრებაში, ამ ყველაფრისთვის მადლობელი ვარ უფლის. მაგალითი იყო ჩემთვის ის, თუ როგორ ექცეოდნენ ერთმანეთს ეს ბუმბერაზი მსახიობები, როგორ იქცეოდნენ ისინი გადასაღებ მოედანზე, როგორი დამოკიდებულება ჰქონდათ გადამღებ ჯგუფთან, ოპერატორებთან, ასისტენტებთან, გრიმიორებთან, როგორ იქცეოდნენ რეჟისორთან, როგორ ექცეოდნენ უზენაესს - საკუთარ პროფესიას. ბევრი რამ ვისწავლე მათგან და, პირველ რიგში, ის, რომ იყო მსახიობი, უდიდესი პასუხისმგებლობაა - მსახიობმა ყველა იმ სიტყვაზე უნდა აგო პასუხი, რასაც სცენიდან ამბობ.



**- პოეზიით დაბრუნება...**

- რა თქმა უნდა, ჩემი ლექსებისადმი სიყვარული იცის ყველამ. ჩემი პოეზიით საზოგადოებაში დაბრუნება მამა ადამ ახალაძეს და მის პოეზიას უკავშირდება. სხვათა შორის, მამა ადამი ბათუმელია, ბათუმის საპატიო მოქალაქე და ძალიან დიდი ადამიანი. მასთან ერთად საქართველოს სხვადასხვა კუთხე შემოვიარე, თითქმის ყველა თეატრის სცენაზე დავდგით პერფორმანსი. მამა ადამთან ურთიერთობამ, მისმა დამოკიდებულებამ თითოეული ბგერის, ფრაზის, შინაარსის მიმართ ლექსის სულ სხვანირ მკითხველად ჩამომაყალიბა, სხვა სიღრმეები მაპოვნინა, დამაფიქრა, განმაცდევინა. პოეზია ჩემთვის გამოსავალს, სიხარულს, სიცოცხლის გაგრძელებას, სიცოცხლის აზრს ნიშნავს. პოეზია ჩემთვის ყველაფერია.

**- ხშირად გხედავთ ბათუმში. მინდა, თქვენს წილ ბათუმზე მიამბოთ.**

- ბათუმი ჩემთვის ძვირფასი ადამიანებია, ზღვაა, პოეზიაა. ასევე, ყველაფერთან ერთად, უდიდესი ბედნიერებაა, რომ ვარ ბათუმის დრამატული თეატრის მსახიობი. ჩემს ცხოვრებაში არაერთი მნიშვნელოვანი ეტაპი და ამბავი ბათუმს და ბათუმელებს უკავშირდება. შესაბამისად, ძალიან ბევრს ნიშნავს ეს ქალაქი ჩემთვის და ის უზომოდ მიყვარს. მიყვარს, როცა ბათუმის საზოგადოებრივი ტრანსპორტით ვმგზავრობ და სრულიად უცნობი ადამიანებისგან საინტერესო ისტორიებს ვისმენ. მაბედნიერებს, როცა მცნობენ. ეს არის ჩემი ცხოვრების აზრი, ბედნიერება. მინდა ყველა ბედნიერი იყოს ირგვლივ, ყველა სიკეთეს და სითბოს ჩუქნიდეს ერთმანეთს. ადამიანებო, მადლობა სიყვარულისთვის, რომელიც მაძლევს ძალას, კიდევ უფრო მეტი ლექსი წაგიკითხოთ, მეტი მართალი ემოცია მოვიტანო თქვენამდე. მე თქვენ მიყვარხართ, ჩვენ ერთმანეთი გვჭირდება და ხელს ნუ გავუშვებთ!

# თეატრმა უკრაინელ ბავშვებს უმასპინძლა

ნანა აბულაძე 577 20 35 90

***ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიულ სახელმწიფო თეატრში უკრაინულ საქველმოქმედო ფონდ „Мистецька Сотня України“-ს, უკრაინული დიასპორის „EDNIS“-ისა და თეატრის თანამშრომლობით, ბათუმში მყოფი უკრაინელი ლტოლვილი ბავშვებისათვის ქართულ-უკრაინული საღამო გაიმართა***

აქ ბავშვებს თეატრის ისტორია გააცნო ბათუმში მცხოვრებმა უკრაინელმა მსახიობმა ქსენია სტოგოდუკ-გაბაიძემ. ბავშვებისთვის ასევე გაიმართა სპექტაკლის „ივანნამ რა ჰქმნა?“ ჩვენება. აღსანიშნავია მომღერალ ეთერ გორაძე-იავუზის ამ ღონისძიებაში მონაწილეობა - მან უკრაინული სიმღერებით გაამრავალფეროვნა საღამო და უკრაინელ ერს გამარჯვება უსურვა. როგორც თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა განაცხადა, იგი მზად არის, მომავალშიც უმასპინძლოს უკრაინელ ბავშვებს, რომელთა გვერდით დგომა ახლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

- მიხარია, რომ ამ საერთაშორისო პროექტით თეატრმა ბათუმში მყოფი უკრაინელი ბავშვებისთვის სამშობლოსთან დამაკავშირებელი ხიდის როლი შეასრულა. ბავშვების საკეთილდღეოდ თეატრი ორგანიზაციებთან მსგავს თანამშრომლობას სამომავლოდაც გეგმავს. ჩვენ ხშირად უნდა გავახაროთ ჩვენს ქალაქში მყოფი უკრაინელი ბავშვები, რათა შევუმსუბუქოთ ის მძიმე ტკივილი, რაც გამოიარეს, - გვითხრა ირაკლი კიკვაძემ.





ბავშვებს ძალიან მოეწონათ სპექტაკლი და მადლობა გადაუხადეს თეატრს გულთბილი მასპინძლობისთვის. საქართველოს და ქართველ ხალხს მხარდაჭერისთვის ასევე გადაუხადა მადლობა უკრაინული დიასპორის „EDNIS“ ხელმძღვანელმა ბათუმში:

- დღევანდელი საღამო კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს და აჩვენებს ქართველი და უკრაინელი ხალხების მეგობრობას. როგორც ქართველები, უკრაინელებიც თავის შვილებს ივანანაზე ზრდიან, ისინი ასწავლიან ბავშვებს, როგორ იყვნენ მეგობრულები და კეთილები. დღევანდელი ღონისძიება ქართველი და უკრაინელი ხალხის სიყვარულს გვაჩვენებს. მადლობა ქართველ ხალხს და ქართულ მიწას, ასე თბილად და სიყვარულით რომ მიგვიღეთ, რომ ჩვენს შვილებს აქვთ საშუალება ისწავლონ საქართველოში, - გვითხრა ნატალია მიროშნიჩენკომ.

# უკრაინა

უკრაინაში რუსეთის სრულმასშტაბიანი შეჭრის შემდეგ 248 ბავშვი დაკარგულად ითვლება. ამავდროულად, ნაპოვნია 7049 ბავშვი. მონაცემები გენერალური პროკურატურის პრესსამსახურმა Telegram-ზე გაავრცელა. როგორც მედია წერს, უკრაინაში რუსული აგრესიის შედეგად 430 ბავშვი დაიღუპა. 30 ოქტომბრის დილის მდგომარეობით, დაშავებულია 823 ბავშვი. სულ დაზიანდა 2688 სასწავლო დაწესებულება, რომელთაგან 331 მთლიანად განადგურდა. როგორც ინფორმაციაშია აღნიშნული, მონაცემები არ არის საბოლოო, რადგან მიმდინარეობს მუშაობა აქტიური საომარი მოქმედებების ზონებიდან, დროებით ოკუპირებული და გათავისუფლებული ტერიტორიებიდან შემოსული ცნობების გადამოწმებაზე.

* * *

უკრაინა, თურქეთი და გაერო, მარცვლეულის ექსპორტის შესახებ შეთანხმების ფარგლებში, თურქეთის წყლებში მყოფი უკრაინული მარცვლეულით 16 გემის გადაადგილების გეგმაზე შეთანხმდნენ, - ინფორმაციას მედიასაშუალებები ერთობლივ საკოორდინაციო ცენტრზე დაყრდნობით ავრცელებენ. დელეგაციები ასევე შეთანხმდნენ 40 გემის ინსპექტირების უზრუნველყოფაზე, რომლებმაც პორტი ორშაბათს უნდა დატოვონ. მათივე ცნობით, გაეროს დელეგაციამ, როგორც ერთობლივმა საკოორდინაციო ცენტრმა, რუსეთის ფედერაციის დელეგაციას გემების გადაადგილების შესახებ უკვე აცნობა. რუსეთმა 29 ოქტომბერს განაცხადა, რომ შავი ზღვის ფლოტის გემებზე განხორციელებული „ტერორისტული თავდასხმების“ გამო მარცვლეულის ექსპორტის შესახებ შეთანხმებაში მონაწილეობას წყვეტს.

* * *

უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს „ავადმყოფი“ უწოდა მათი განცხადებების გამო, თითქოს სევასტოპოლში შავი ზღვის ფლოტის გემებზე უპილოტო დრონები სამოქალაქო გემიდან გაუშვეს, რომელიც გამოიყენებოდა მარცვლეულის გარიგების ფარგლებში. „რა გაიგონა მსოფლიომ? რომ ვითომ ვიღაც მარცვლეულის გადამზიდავიდან უშვებს დრონებს. ჯერ „საბრძოლო ფრინველებზე“ ლაპარაკობდნენ, მერე - „საბრძოლო მწერებზე“, ახლა - „საბრძოლო მარცვლეულზე“. მკვლელი ხორბალი, რომელიც რუს ადმირალებს ახრჩობს. აბა, რას იტყვით? მართლა ავადმყოფი ხალხია, მაგრამ ეს ავადმყოფები კიდევ ერთხელ აყენებენ მსოფლიოს საკვების მძიმე კრიზისის ზღვარზე“, - აღნიშნა ზელენსკიმ. მისი თქმით, რუსეთის ხელმძღვანელობა უფრო მეტად დაინტერესებულია სასურსათო კრიზისის გამწვავებით, ვიდრე ხელმოწერილი დოკუმენტების შესრულებით. „რა თქმა უნდა, პარტნიორები ცდილობენ, დაარწმუნონ ტერორისტული სახელმწიფო, შეანელოს შანტაჟი, მაგრამ არის ეს რეალური? ჯერჯერობით ფაქტები მიუთითებს იმაზე, რომ რუსეთის ხელმძღვანელობა უფრო მეტად დაინტერესებულია სასურსათო კრიზისის გამწვავებით, ვიდრე ხელმოწერილი დოკუმენტების შესრულებით. და ეს, სხვათა შორის, არის პასუხი ყველასთვის, ვინც რუსეთთან მოლაპარაკებებზე საუბრობს“, - აღნიშნა ზელენსკიმ.

* * *

უკრაინის გენერალური პროკურატურის ოფისის მონაცემებით, სრულმასშტაბიანი შეჭრის დღიდან რუსეთმა უკრაინაში 43 003 ომისა და აგრესიის დანაშაული ჩაიდინა. ამ ინფორმაციას უკრაინული მედია ავრცელებს. მათივე ცნობით, დაფიქსირებულია ომის კანონებისა და წესების 41 472 დარღვევა, აგრესიული ომის დაგეგმვის, მომზადების, გაჩაღებისა და წარმოების - 73, ომის პროპაგანდის - 37 და სხვა სახის 1 421 დანაშაული. ამასთან, გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, რეგისტრირებულია 18 637 დანაშაული ეროვნული უსაფრთხოების წინააღმდეგ. უწყებაში აცხადებენ, რომ რუსეთის ფედერაციის აგრესიასთან დაკავშირებულ მთავარ საქმეში უკვე 627 ეჭვმიტანილი არსებობს, რომლებიც რუსეთის ფედერაციის სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობის წარმომადგენლები არიან.

* * *

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი შეეცდება, გააგრძელოს საომარი მოქმედებები, რათა შეინარჩუნოს უკრაინის ოკუპირებული ტერიტორიები, დაიკავოს ახალი და შექმნას პირობები დასავლეთისთვის, რათა შეწყვიტოს კიევის მხარდაჭერა, რაც, მისი მოლოდინით, ამ ზამთარს მოხდება, - ამის შესახებ ამერიკის „ომის შესწავლის ინსტიტუტის“ ანგარიშშია აღნიშნული. „ნაკლებად სავარაუდოა, რომ პუტინს ნატოსთან პირდაპირი სამხედრო კონფლიქტი სურდეს, თუმცა ის, სავარაუდოდ, გააგრძელებს მინიშნებას რუსული ტაქტიკური ბირთვული იარაღის გამოყენებასა და ნატოზე თავდასხმების შესაძლებლობის შესახებ, იმ მიზნით, რომ შეარყიოს დასავლეთის ნება, გააგრძელონ უკრაინის მხარდაჭერა“, - აღნიშნულია ანგარიშში. „პირველი, რომ პუტინი წამოაყენებს პირობებს, რათა გააგრძელოს ცუდად მომზადებული რუსული ჯარების უკრაინაში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში გადასროლა იმის ნაცვლად, რომ შეაჩეროს ოპერაციები ეფექტური სამხედრო ძალების აღსადგენად. მეორე, რომ პუტინის გამარჯვების თეორია ეყრდნობა მკაცრი ზამთრის გამოყენებას ევროპის ნების შესარყევად“, - აცხადებენ ორგანიზაციის ანალიტიკოსები. მათი შეფასებით, თუ პუტინი აპირებს 4-6 წვრთნის შემდეგ რუსი ახალწვეულების უკრაინაში გაგზავნას, შესაძლოა, რუსეთის ძალებს შეუქმნას პირობები, რათა განაახლონ შეტევითი ოპერაციები გაზაფხულის დათბობის დასრულების შემდეგ. „რეზერვისტების ნაწილობრივი მობილიზება მტკიცედ მიუთითებს, რომ პუტინი აპირებს გააგრძელოს ბრძოლა 2023 წელს და არ მოელის რაიმე სახის ცეცხლის შეწყვეტის უზრუნველყოფას“, - აღნიშნულია ანგარიშში.

**მოამზადა**
**ნაირა ფუტკარაძემ**